პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ორშაბათი,
14
ოქტომბერი
1935 წ.
№ 239 (4395)

დღის ნომერში

— ბრწყინვალე გამარჯვება (მეთაური)
— გ. მებრალიშვილი — რა აწუხებს იტალიის იმპერიალიზმს.
— მარიამ გარიშვილი — „მწვანე ოქროს" პლანტაცია.
— პრესის მიმოხილვა — ხელი მოკიდოს მუშგლეხკორების გამოზრდას.
— ნ. გიორგაძე — კიროველების სიტყვა და საქმე.
— ა. ქ. ძლეოსანთა შეჯიბრება.
— საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობა.
— აბისინელების იერიში [illegible] წინააღმდეგ.
— ქიმიური ომი აბისინიაში.
— იტალიელთა ჯარის [illegible] აფრიკაში.

მხურვალე სალამი ჩაის ფრონტზე სახელოვან მებრძოლებს

ბრწყინვალე გამარჯვება

დოქტორი მანი, ჩაის საქმის გამოჩენილი სპეციალისტი, ამშვიდებდა ინდოეთისა და ცეილონის კაპიტალისტებს, კოლონიზატორ პლანტატორებს: ნუ შიშობთ, დინჯად ადევნეთ თვალყური ჩაის განვითარებას საბჭოთა კავშირში, ფიქრი ნურაფრისა გაქვთ, საქართველოს ჩაი მუდამ მდარე ხარისხისა იქნება.

ინგლისის ჩაის პლანტატორთა აგენტები არაფერს იშურებდნენ იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ ჩაის კულტურის განვითარების უპერსპექტივობა საბჭოთა კავშირსა და, კერძოდ საქართველოში.

კაპიტალისტ პლანტატორების ეს შეშფოთება სავსებით გასაგები იყო და გასაგებია დღესაც. ცარიზმის დროინდელი რუსეთი ჩაის პროდუქტთა უდიდეს სამომხმარებლო ქვეყანას წარმოადგენდა. მეფის დროს რუსეთში საზღვარგარეთიდან ყოველწლიურად შემოჰქონდათ 75 მილიონ კილოგრამამდე ჩაი. საიმპორტო ჩაის წლიური ღირებულება ოქროთი 100 მილიონ მანეთს აღწევდა.

საბჭოთა კავშირში ჩაის კულტურის ისეთი მასშტაბით, განვითარება, რომ ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდეს უცხოეთის ჩაის შემოზიდვისაგან, სერიოზულად დაემუქრა ევროპის კაპიტალისტთა მოგებას. ამიტომ შეძრწუნდა ბრიტანეთის ჩაის მონოპოლისტთა ხროვა, ამიტომ აყეფდნენ „ჩაის მეფეები" ტოკიოსა და შანხაიში. რამდენი „მჭერმეტყველური" სიტყვა ითქვა და რამდენი „სიბრძნე" დაიბეჭდა იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა კავშირის ჩაი უვარგისია, რომ საქართველოს ჩაის მეურნეობა ვერასოდეს აღორძინდება!

მაგრამ ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ. ახლა ბრმაც კი ხედავს, რომ საბჭოთა ჩაიმ ფართო გზა გაიკაფა. საქართველოში ჩაის კულტურის განვითარებამ ისე წაიწია წინ, რომ უკვე რეალურად არის დასახული უახლოეს წლებში უცხოეთიდან ჩაის შემოზიდვის სრულებით შეწყვეტის ამოცანა.

საბჭოთა კავშირის მთელ სამომხმარებლო ფონდში ადგილობრივ დამზადებული ჩაის ხვედრითი წონა შეადგენდა 1932 წელს 5,8 პროცენტს, 1933 წელს 14,9 პროცენტს, 1934 წ. 27,7 პროც. მიმდინარე წელს კი შეადგენს 40,6 პროც. თუ მხედველობაში მივიღებთ ჩაის მოსავლიანობის აწევისა და სრულმოსავლიანი პლანტაციების გადიდების ოპტიმალურ ვარაუდებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკვე 1936 წლისათვის მთელ სამომხმარებლო ფონდში ადგილობრივი ჩაის ხვედრითი წონა 55—60 პროცენტამდე ავა.

ამგვარად განავდა და მტვრად იქცა ბურჟუაზიული „სპეცების" და მემარჯვენე ოპორტუნისტების ყველა „გენიოსური წინასწარმეტყველებანი" საქართველოში ჩაის კულტურის უპერსპექტივობის შესახებ. ახლა თვით კაპიტალისტური ინგლისის ჩაის უდიდეს ფირმათა მეპატრონეებიც იძულებული არიან აღიარონ, რომ საქართველოს ჩაი უკეთესია, ვიდრე ჩინეთისა და იგი თავის ღირსებით დიდად უახლოვდება მთელს მსოფლიოში ცნობილ ცეილონისა და დარჯილინგის ჩაის საუკეთესო ნიმუშებს.

ჩაის კულტურის ინტენსიური განვითარება ჩვენში შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მოწყობის შემდეგ. 11 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, შეიარაღებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, მუშაობს ამჟამად საქართველოს ჩაის რაიონებში.

ჩაის კულტურის განვითარებაზე საბჭოთა ხელისუფლება აბანდებს კოლოსალურ თანხებს. მარტო ჩაის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობასა და ჩაის მრეწველობაში დაბანდებულია 165 მილიონ მანეთზე მეტი. მიმდინარე წელს ჩაის რაიონები მიიღებენ 57 მილიონ მანეთს. აქედან მარტო ჩაის ფოთლის რეალიზაციისგან კოლმეურნეებს დაურიგდებათ 25 მილიონი მანეთი.

ყოველივე ამის შემდეგ სავსებით გასაგებია, რომ „ჩაის კულტურამ საქართველოში მტკიცედ დაიპყრო მოქალაქეობრივი უფლება". დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეთა მასები ახლა სავსებით დარწმუნდნენ, რომ ჩაი წარმოადგენს მათი მატერიალური და ყოფაცხოვრებითი პირობების სისტემატურად გაუმჯობესების საფუძველს. „კოლმეურნე — განაცხადა ამხ. ბერიამ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. მაისის პლენუმზე — უკვე გრძნობს იმ დიდ ეკონომიურ სარგებლობას, რომელიც მას ჩაის კულტურამ მოუტანა და, რომელსაც იგი კიდევ მოუტანს". ეს სავსებით უდაოა

განსაკუთრებით დიდია ის წარმატებანი, რომლებიც უკანასკნელ ორი-სამი წლის განმავლობაში იქნა მოპოვებული ჩაის კულტურის განვითარების საქმეში. 1931 წელს საქართველოში სულ მოიკრიფა 1208 ტონა ჩაის ფოთოლი, 1934 წელს კი—6442 ტონა.

ამხ. ბერიას პატაკიდან, რომელიც „კომუნისტის" გუშინწინდელ ნომერში გამოქვეყნდა, სჩანს, რომ მწვანე ფოთლის დამზადების გეგმა ორდენოსან საქართველოს რესპუბლიკამ წელს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. გასული წლის 6442 ათასი კილოგრამის ნაცვლად, წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 12,300 ათას კილოგრამზე მეტი ფოთოლი.

ამხ. ბერიას პატაკში პარტიის ბელადისა და საკავშირო ხელმძღვანელ ორგანოებისადმი მოცემულია ჩაის მოსავლიანობისათვის ბოლშევიკური ბრძოლის ბრწყინვალე შედეგები: მთლიანად არის შესრულებული საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს დავალება პლანტაციების მოსავლის ერთიორად გადიდების შესახებ. 1932 წელს თუ ჰექტარზე საშუალოდ ჩაის მოსავალი 701 კილოგრამს არ აღემატებოდა, წელს საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 1400 კილოგრამზე მეტია.

ეს დიდი გამარჯვება შედეგია იმ განსაკუთრებული ყურადღების, რომელსაც ჩაის კულტურის განვითარებას აქცევდა და აქცევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხ. ლ. ბერია.

გიგანტური ნაბიჯით ვითარდება ჩვენი მშობლიური ჩაის მრეწველობაც. ეს სჩანს მზა პროდუქციის გამოშვების შემდეგი შედარებიდან. 1931 წელს საქართველოს ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 291 ტონა ჩაი. შარშან გამოშვებულ იქნა 1620 ტონა, ხოლო მიმდინარე წელს გამოშვებულ იქნება 2975 ტონა ხარისხობრივი ჩაი.

საქართველოს ჩაის მრეწველობისათვის დამახასიათებელია, რომ იგი მთლიანად მარაგდება საბჭოთა კავშირში დამზადებული მანქანებით, დაზგებით და მოწყობილობით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამ ახალ შედარებით პატარა მოცულობის ფაბრიკას, ყველა დანარჩენი 24 ფაბრიკა სავსებით რენტაბელურია და მუშაობს მოგებით. ჩვენი ჩაის ფაბრიკები ნამდვილად, რომ ეუფლებიან წარმოების რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს, ეს ნათლად სჩანს სალიბაურის, ბობოყვათის და ჩაქვის ფაბრიკების მუშაობიდან, რომლებმაც სავსებით შესწყვიტეს მესამე ხარისხისა და უხარისხო ჩაის გამოშვება.

ასეთია, მოკლედ, ჩაისათვის ბრძოლის წინასწარი შედეგები მიმდინარე წელს.

ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაბარების გეგმა საქართველოში შესრულებულია მთლიანად. მაგრამ კერძოდ მთელ რიგ რაიონებს ჯერ კიდევ არ აქვთ გეგმები შესრულებული. მათი ამოცანაა ფართო ბრძოლა გააჩაღონ ჩაის ფრონტზე და მიაღწიონ გეგმის შესრულებას. არავითარ დემობილიზაციურ განწყობილებას არ უნდა ექნეს ადგილი.

როგორია ჩვენი შემდგომი ამოცანები? ეს ამოცანები განისაზღვრება იმ დაპირებით, რომელიც ბელადსა და პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისათვისაა მიცემული ამხ. ბერიას პატაკით. „საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები—ნათქვამია პატაკში — სიტყვას აძლევენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ბელადს ამხ. სტალინს, რომ მთელ ძალღონეს მოახმარენ ფართობის შემდგომ გადიდებას, მოსავლიანობის აწევას და ჩაის მხრივ საბჭოთა ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ მიცემულ მითითებათა მთლიანად შესრულებას".

ამ დაპირებების ბოლშევიკურად განაღდება გვავალებს კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩაისათვის ბრძოლა, ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ პლანტაციების მოვლა-დამუშავება, სანიმუშოდ ჩავატაროთ ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, გეგმიანად ავითვისოთ ახალი ფართობები და დაუღალავად ვიმუშაოთ მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის.

ყოველივე ეს წარმოადგენს იმის სრულ გარანტიას, რომ ორდენოსან საქართველოს ბოლშევიკები და კოლმეურნეები ბრწყინვალედ გაიმარჯვებენ ჩაის მხრით უცხოეთისაგან სრული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

სიტყვა „ღარიბი" ხმარებიდან გამოდის

საუბარი საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივან ამხ. მ. კილაძესთან

„კომუნისტის" სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში ამხ. მ. კილაძემ ჩაის ფოთლის კრეფაში მიღწეული გამარჯვების შესახებ შემდეგი განაცხადა:

— ცნობილია, რომ მახარაძის რაიონი ჩაის ძირითად რაიონს წარმოადგენს. ყველა სექტორი რომ ავიღოთ, ამჟამად მახარაძის რაიონში უკვე გაშენებულია 7.248 ჰექტარი პლანტაცია.

წელს გეგმის თანახმად ყველა სექტორში უნდა მოგვეკრიფა 3.585.000 კილოგრამი ფოთოლი. ანუ რესპუბლიკური გეგმის თითქმის მესამედი.

ამ დიდი დავალების გამო მუდამ ვგრძნობდით უდიდეს პასუხისმგებლობას საბჭოთა ქვეყნის, დიდი ბელადის ამხ. **სტალინის** ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. **ლ. ბერიას** წინაშე.

მაგრამ მარტო ფართობის სიდიდე გამარჯვების საკითხს არ სწყვეტს. ძირითადი ამოცანა, რომლისკენაც პარტიის და მთავრობის დირექტივის თანახმად მთელი ჩვენი გულისყური იყო მიპყრობილი — ეს იყო მოსავლიანობის გადიდება. სწორედ ამ ამოცანას ჩავსჭიდეთ ხელი, დავრაზმეთ მის ირგვლივ მთელი პარტიული, კომკავშირული და საკოლმეურნეო ძალები.

უდავოა, რომ მომავალი წლის მოსავლის ბედი წლევანდელ ღონისძიებებზეა დამოკიდებული. რაკი ეს ასეა, წლევანდელი ჩვენი გამარჯვება უპირობოდ უკავშირდება შარშანდელ ღონისძიებებს, როგორიც არის პლანტაციების თავის დროზე გასხვლა, თავის დროზე სასუქის შეტანა, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, შეღობვა, სადრენაჟო სამუშაოების დროზე შესრულება და სხვ.

ყოველივე ამან საშუალება მოგვცა სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე წელს **მიგვეღო საშუალოდ 1600 კილოგრამი ფოთოლი.** ეს მაშინ, როდესაც 1933 წელს ჰექტარზე მოსავლიანობა 803 კილოგრამს არ აღემატებოდა.

მოსავლიანობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე აღებულმა მტკიცე კურსმა საშუალება მოგვცა მთელი რიგი წლების განმავლობაში ვმდგარიყავით ჩაის საპატიო ფრონტის მოწინავეთა რიგებში.

როგორც ვთქვი, წელს ჩვენს წინაშე მეტად პასუხსაგები ამოცანა იდგა — რესპუბლიკური გეგმის თითქმის მესამედის შესრულება. ამას დაუმატეთ მეტად არახელსაყრელი კლიმატური პირობები: სისტემატური გვალვები, რამაც საგრძნობად გაამრავლა ბუჩქებზე ყრუ დუყები და გააუარესა მოსავლის ხარისხი. მიუხედავად ყოველივე ამისა, მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალურად გამოყენებით, სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლით, დანაკარგების აღმოფხვრით, კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლის უზრუნველყოფით, ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების მტკიცედ გატარებით, ამხ. ლ. ბერიას მითითებების თვითეულ ბრიგადაში დამუშავებით, — ჩვენ შევძელით მოცემული უდიდესი გეგმის გადაჭარბებით შესრულება. 22 სექტემბრისათვის 100 პროცენტით შევასრულეთ ჩაის კრეფის წლიური გეგმა.

გეგმის შესრულების შემდეგაც განვაგრძობთ ფოთლის კრეფას. რაიონმა იკისრა დამატებით 200 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთლის ჩაბარება და 13 ოქტომბრისათვის უკვე მოკრეფილია 3.785 ათასი კილოგრამი ფოთოლი, ანუ გეგმის 105,4 პროცენტი. მაშასადამე, დამატებით ნაკისრი ვალდებულებაც შესრულებულია.

ჩაის ფასის გადიდებამ, მოსავლიანობის ზრდამ, პურის საკითხის მოგვარებამ ჩაი გადააქცია კოლმეურნეების შემოსავლის ძირითად წყაროდ და ფაქტიურად განახორციელა ბელადის ლოზუნგი": გადავაქციოთ ყოველი კოლმეურნეობა ბოლშევიკურ კოლმეურნეობად და ყოველი კოლმეურნე შეძლებულად". სიტყვა „ღარიბი" ჩვენს რაიონში ხმარებიდან გამოდის. პატიოსანი მშრომელი კოლმეურნე ჩვენში არ შეიძლება იყოს და არც არის ღარიბი. არის ისეთი ოჯახები, რომლებმაც ჩაის შემოსავლით უკვე მიიღეს 7-8 ათას მანეთამდე (მაგალითად: ერმილე მეჯგირი, იოსებ გიორგაძე — გურიანთა). კოლმეურნენი აგებენ ახალ სახლებს, ყიდულობენ ავეჯს, იძენენ ძროხებს, წვრილფეხა პირუტყვს, აწყობენ ახალ ბედნიერ ცხოვრებას.

— 1936 წლისათვის, — აცხადებს დასასრულ ამხ. კილაძე, — ჩვენ ვფიქრობთ ვიკისროთ 5 მილიონ კილოგრამამდე ჩაის ფოთლის ჩაბარება. ამასთან დაკავშირებით მტკიცედ გადავწყვიტეთ მომავალი წლისათვის 1900—2000 კილოგრამამდე ავიყვანოთ მოსავლიანობა ჰექტარზე. აგრეთვე 150 ჰექტარი ნიადაგი უნდა მოვამზადოთ ახალი პლანტაციებისათვის. ამ მეტად პასუხსაგები ამოცანების შესრულებისათვის სამზადისს ამთავითვე ვიწყებთ. გადაწყვეტილი გვაქვს ყველა პლანტაცია შემოვღობოთ მაგარი ღობით (მექრით ან მესრით) პლანტაციებს ცოცხალი ღობის სახით შემოვავლებთ ტრიფოლიატას, დიდ მასივებში ვიწყებთ მწკრივებად და კიდურებში ისეთი ძვირფასი ციტრუსების გაშენებას, როგორიც არის: მანდარინი, ლიმონი, ხურმა, მუშმულა, ტუნგო და სხვ. ჩვენი მიზანია ჩაის პლანტაციის თვითეული ნაკვეთი გადავაქციოთ თვალწარმტაც ბაღად, სადაც შრომას სანატრელი მოთხოვნილების საგანი აქვს.

□ □ □ □ □

სოფ. ლესას (ლანჩხუთის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ვალ. ჟორდანია,** პარტკომის მდივანი **ალექსი იმნაძე** და ბრიგადირი **ა. კვაჭაძე** ამოწმებენ ჩაის ფოთლის კრეფის ხარისხს.

□ □ □ □ □ □

როგორ გავიმარჯვეთ

საუბარი საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის მდივან ამხ. ი. მონიავასთან

ჩაის ფრონტზე მიღწეული წარმატებებისა და შემდგომი მუშაობის შესახებ **„კომუნისტის"** სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში ამხ. **მონიავამ** განაცხადა:

ჩხოროწყუს რაიონში ამჟამად ჩაი გაშენებულია 1102 ჰექტარზე. ნიადაგი და ჰავა ჩაის ფართოდ განვითარებისათვის დიდად ხელსაყრელია. რაიონში 8.000—9.000 ჰექტარ ფართობზე შეიძლება ჩაის გაშენება.

მიმდინარე წელს 10 ოქტომბრისათვის ჩაის ფოთლის კრეფის და დამზადების გეგმა შესრულებული იყო **119,4 პროცენტით (138.000 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე ჩავაბარეთ 164.957 კილოგრამი ფოთოლი).** გადაჭარბებით შევასრულეთ გეგმის გადამეტებით 12 ტონა ჩაის ჩაბარების შესახებ ნაკისრი ვალდებულებაც. 10 ოქტომბრისათვის გეგმის ზევით სახელმწიფოს მივეცით 26,9 ტონა ფოთოლი. მოკრეფილი ჩაის რაოდენობის 74,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა. **ლესიჭინის** საბჭოთა მეურნეობამ, რომელიც ჩვენს რაიონში შედის, ჩაის დამზადების გეგმა შეასრულა 208 პროცენტით. მოკრეფილ ფოთოლში პირველი ხარისხისაა 93 პროცენტი.

როგორ მოვიპოვეთ წარმატება? ა.-კ. ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელის ამხ. **ლ. ბერიას** მითითება იმის შესახებ, რომ „ინდივიდუალურად მივუდგეთ და თვალის ჩინივით მოვუაროთ ჩაის თვითეულ ბუჩქს... დავეუფლოთ ჩაის საქმის ტექნიკას" — წარმოადგენდა და წარმოადგენს ჩხოროწყუს რაიონის ბოლშევიკების ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანას.

ჩაის დანაკარგებთან საბრძოლველად საჭირო იყო **სისტემატური კრეფის** განხორციელება. ეს წესი მტკიცედ დავიცავით. ამით უნდა აიხსნას ის, რომ კრეფის თვიური გეგმების შესრულებაში სერიოზული გარღვევა არ გვქონია. მაგალითად მაისში 35.900 კილოგრამის ნაცვლად მოიკრიფა 34.463 კილოგრამი. ივნისში კი 24.537 კილოგრამი. გეგმით გათვალისწინებულ 24.800 კილოს ნაცვლად. ეს დანაკლისი შემდეგ თვეებში დავფარეთ.

მკრეფავთა კადრების შერჩევას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით. კრეფის დაწყებამდე რაიონის აქტივს შევასწავლეთ კრეფის ტექნიკა. სპეციალურად გადავამზადეთ 25 მეჩაიე ბრიგადირი და 80 კოლმეურნე ქალი.

მიმდინარე წელს ჩაის პლანტაციები ოთხჯერ გავთოხნეთ, ხოლო უფრო დასარევლიანებული 180 ჰექტარი პლანტაცია ხუთჯერ გაითოხნა. წელს რაიონში პირველად მოვახდინეთ რემონტებული პლანტაციების **გამოხშირვა** ხელით და არა თოხით, როგორც წინათ იქცეოდნენ.

წელს ჩაის სამუშაოთა შესრულებაში ახალია **შრომის მაღალი დისციპლინა** კოლმეურნეთა შორის. ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებში იშვიათად შეხვდებით ისეთ კოლმეურნეს, რომელიც სამუშაოდ დაგვიანებით გამოდიოდეს. ეს იმის შედეგია, რომ ახალმა სტალინურმა წესდებამ სოციალისტური შეჯიბრების ახალი ტალღა გამოიწვია საკოლმეურნეო მინდვრის დამკვრელებს შორის. მოხუცი და ახალგაზრდა ერთმანეთს ეჯიბრება—მეტი შრომადღეები გამოიმუშაოს. იმიტომ, რომ შრომადღემ ავტორიტეტი მოიპოვა. ჩაის მოწინავე კოლმეურნეობაში ერთ შრომადღეზე მარტო ფულად მოდის 8—10 მანეთი. შარშანდელი 51 კაპეიკის ნაცვლად.

სტალინური წესდების სწორად დამუშავების და მისი განუხრელად გატარების შედეგია, რომ შრომელი ერთპიროვნული მეურნენი მოილტვიან კოლმეურნეობებისაკენ. **სტალინური წესდების დამუშავებამდე კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო მოსახლეობის 44,5 პროცენტი, ახლა კი არის 80,8 პროც.**

ჩხოროწყუს რაიონში ჩაის კულტურა ახლად ფეხმოკიდებულია, მაგრამ იგი უკვე წამყვან კულტურას წარმოადგენს. **„კოლმეურნეები უკვე გრძნობენ იმ დიდ ეკონომიურ სარგებლობას, რომელიც მათ ჩაის კულტურამ მოუტანა და რომელსაც იგი კიდევ მოუტანს"** (ლ. ბერია). ხუმრობა საქმე ხომ არ არის — რაიონის კოლმეურნეობები წელს ჩაის ხაზით მიიღებენ 2.125.000 მანეთს (უკვე მიღებული აქვთ 1.439.097 მანეთი).

მოპოვებული პირველი წარმატებებით ჩხოროწყუს რაიონის პარტორგანიზაცია თვითკმაყოფილებას არ ეძლევა. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმმა დასახა 1937 წ. ერთი ჰექტარზე, სულ უკანასკნელი, 1800 კილოგრამი ჩაის მიღება. ამას უთუოდ შევძლებთ. ჩვენ ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ მომავალი მოსავლის ბედი ახლა სწყდება. იმაზე, თუ როგორ შევასრულებთ ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს, დამოკიდებულია ჩაის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება. ენერგიულად შევუდექით ნიადაგის მომზადებას 180 ჰექტარზე. **სიტყვას ვაძლევთ ა.-კ. ბოლშევიკთა მტკიცე ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას, ეს დავალება წელს გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ.**

ჩხოროწყუს რაიონის პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ „ფრიადზე" შეასრულონ ჩაის ყველა სახის საშემოდგომო - საზამთრო სამუშაო და საქმით განახორციელონ ამხ. **ლ. ბერიას** მითითება — ჩაის მეურნეობის სანიმუშოდ გადაქცევისათვის.

გავიმარჯვე და გავიხარე კიდევ

ბრიგადირის წერილი

რომ წავიკითხე, რაიონმა ჩაის გეგმა შეასრულაო, ძალიან გამეხარდა. „რაცხა პატარაი მე და ჩემს დამკვრელებსაც ქე მიგვიძღვის ამ საქმეში მეთქი", — ვიფიქრე გუნებაში.

ამ პატარა წერილში მინდა ჩემი ბრიგადის გამარჯვებაზე ორიოდე სიტყვა ვთქვა.

ოთხი წელიწადია, რაც ბრიგადირად ვმუშაობ ნატანების კოლექტივში. № 1 ბრიგადას ვხელმძღვანელობდი შარშან, წელსაც მისი ბრიგადირი ვარ. შარშანაც გადაჭარბებით შევასრულე ჩაის კრეფის გეგმა, მარა ეს არ მიკვირს. წელს რომ გვეიმარჯვით — აი ეს არის საქმე.

ჩემი ბრიგადის წევრთა რაოდენობა იგივეა წელს, რაც შარშან იყო (17 კაცი და 15 ქალი). შარშან უნდა მოგვეკრიფა 11.200 კილოგრამი ფოთოლი. კიდეც მოვკრიფეთ გადაჭარბებით.

მაგრამ წელს ხომ გაიზარდა ჩაის მოსავლიანი ფართობი. გაიზარდა გეგმაც. სახელდობრ ჩემს ბრიგადას გეგმით დაეკისრა 49.078 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფა და ჩაბარება. წარმოიდგინეთ, იგივე ხალხი, რაც იყო შარშან. შესასრულებელი კი სამჯერ მეტი!

ჩემი ბრიგადის გეგმა, როგორც გევიგე ორჯერ უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე სამტრესტის გეგმა.

ბრიგადის თვითეული წევრი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდა დავალების შესრულებას. წელს მე არ დამჭირვებია ზედავლენის არავითარი ღონისძიების გამოყენება რომელიმე კოლმეურნის მიმართ. ავიღოთ კოლმეურნე სამსონ ბაქანიძის მაგალითი. იგი მე შარშან სამუშაოს ცუდად შესრულებისათვის ერთი შრომადღით დავაჯარიმე. ახლა კი იგი, როგორც მოწინავე დასაჯილდოებელთა სიაში მყავს.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემმა ბრიგადამ დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. მან არათუ შეასრულა გეგმა, არამედ გადააჭარბა კიდეც. უნდა მოგვეკრიფა 42,562 კილოგრამი ჩაი, უკვე მოკრეფილი გვაქვს 49,078 კილოგრამი.

მინდა ამ წერილში ვახსენო ჩემი ბრიგადის საპატიო წევრები, ნამდვილი დამკვრელები: გალაქტიონ კეშელავა, გრიშა თოიძე, სერგო ცერცვაძე, სამსონ ბაქანიძე, კირილე ნიკოლაიშვილი.

გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ კოლმეურნეობაში ვპოვეთ ჩვენ ხსნა სიღატაკისაგან. ჩვენი ოჯახები ყოველწლიურად ლაპარაკობენ ჩვენს ბედნიერ ცხოვრებაზე. ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ პატიოსანი შრომა ჩვენი კეთილდღეობის წინ წაწევაა.

მაგალითი გინდათ? რაღა სხვა დავასახელო, ჩემს თავს ავიღებ. შარშან მე 220 შრომადღე გამოვიმუშავე. წელს უკვე 300 შრომადღემდე ავალ. კოლმეურნეობიდან მარტო ფულად სამი ათას მანეთამდე მივიღებ. აქამდე მამაჩემთან ვცხოვრობდი, ოჯახის წევრები მოგვრავლდით, ვაპირებ ცალკე დასახლებას. ოთხი თვალი ოდის მასალა უკვე დამზადებული მაქვს, ცემენტი უკვე მომცა კოლმეურნეობამ. ახლა არ მცალია პატარა ხანს კიდევ, და მერე მე ვიცი, მალე ჩემს ოდას ნატანების სადგურიდან დაგანახვებთ.

ნატანების კოლმეურნეობის №
1 ბრიგადის ბრიგადირი:
ლევან ცერცვაძე.

□ □ □

თამარ შენგელიას მაგალითზე

სოფ. პირველი ჭოლის (ჩხოროწყუს რაიონი) კოლმეურნეობაში **თამარ შენგელია** ცნობილია, როგორც ჩაის საუკეთესო მკრეფავი ქალი. ხუთი კილოგრამი მწვანე ფოთლის ნაცვლად თამარი 10—12 კილოგრამს ჰკრეფს დღეში. როგორც მოწინავე ქალი კოლმეურნეობის გამგეობამ ის დააწინაურა და გამოჰყო პირველ ბრიგადის ქალთა ჯგუფხელად.

რაში მდგომარეობს შენგელიას გამარჯვების „საიდუმლოება"? უმთავრესად იმაში, რომ ის საქმის ღრმად მოყვარულია და მცოდნე. ამასთანავე იგი დისციპლინირებული კოლმეურნეა. დილით ადრე გამოდის სამუშაოდ, გამოუვლის თავისი ჯგუფის წევრებს და გადასძახებს:

— სირცხვილი არ მაჭამოთ, არ დაიგვიანოთ სამუშაოზე.

ამ ბრიგადის წევრი **თებრო ფაცაცია** გვიან გამოდიოდა სამუშაოდ. თამარმა იგი დატუქსა და შავ დაფაზე გააკვრევინა. ამის შემდეგ თებრო ფაცაცია გამოსწორდა და ახლა დამკვრელ კოლმეურნედ ითვლება.

თამარი მუშაობის დროს ერიდება ამხანაგებთან ზედმეტ ლაპარაკს.

— ყოველი წუთი ძვირფასია! უუბნება ხოლმე იგი თავის ამხანაგებს.

თამარ შენგელია დაეუფლა ჩაის ფოთლის კრეფის ტექნიკას. ჩაის ჰკრეფს ორივე ხელით და მისი მოკრეფილი ფოთოლი პირველი ხარისხისაა. მართალია მას სპეციალურად აგრონომიული განათლება არ მიუღია, მაგრამ ოთხი წელია, რაც ჩაის ჰკრეფს. მას საფუძვლიანად შესწავლილი აქვს საქმიწსახკომის ინსტრუქცია ჩაის კრეფაზე და ამიტომ არის კრეფის ფრიადოსანი.

პირველ ხანებში იყო შემთხვევა, როცა ამ ჯგუფი მთლიანად ვერ იცავდა კრეფის წესებს. თამარი დატრიალდა და ჩამორჩენილებს შეასწავლა კრეფა. **ტოჩი გაბელია** და **ვერა ხობელია,** რომელნიც ჩაის ცუდად ჰკრეფდნენ—მიჰყავდა ბუჩქთან, პრაქტიკულად უჩვენა, თუ როგორ უნდოდა წესიერი კრეფა. ახლა ესენი საუკეთესო მკრეფავებად ითვლებიან.

თამარის მაგალითზე ამ კოლმეურნეობის დანარჩენმა ბრიგადებმაც მოიპოვეს წარმატებანი ფოთლის კრეფაში.

ამიტომ არის, რომ თამარ შენგელიას აქ აფასებენ.

კოლმეურნეობის გამგეობამ შენგელია ორჯერ დააჯილდოვა დამკვრელური მუშაობისათვის.

თვით თამარის ოჯახმაც იცვალა სახე. გამომუშავებულ შრომადღეებში მიღებული ფულით წელს მან შეიძინა საკერავი მანქანა, კრეპდეშინის კაბა, ქუსლიანი ფეხსაცმელი, გიტარა და დანა-ჩანგალი.

კოლმეურნეობაში პატიოსანი მუშაობის შედეგად თამარის ოჯახიდან სამუდამოდ განიდევნა სიღარიბე, ის უკვე შეძლებული ცხოვრების გზაზე დამდგარი.

თ. ქუნჭულია.
შ. ზარანდია.

ჩხოროწყუ,
12 ოქტომბერი.

□ □

ჯილდო ჩაის ფაბრიკების მშენებლებს

მიმდინარე წელს, განსაკუთრებით ძნელ პირობებში, პირველ მაისისათვის დამთავრდა ჩაის ექვსი ახალი ფაბრიკა, რომლებსაც შეუძლიათ 10 მილიონი კილოგრამი ნედლეულის გადამუშავება. ფაბრიკები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ და დაზუსტებულ საწარმოო გეგმასთან შედარებით უკვე მოგვცეს 80 ათასი მანეთის ეკონომია. მშენებლობის მხრივ პირველ რიგში დგანან **ნასაკირალის** და **ლაითურის** ჩაის ფაბრიკები.

მშენებლობაში მიღწეულ შედეგებისათვის, — მოვალეობის განსაკუთრებით კეთილსინდისიერად შესრულებისათვის „საქართველოს ჩაის" დირექციამ **მადლობა გამოუცხადა და ჯილდო მისცა:**

ნასაკირალის ჩაის ფაბრიკის მშენებლობის ხელმძღვანელს, ინჟ. **ქავთარაძეს** (ერთი თვის ხელფასი), ტექნიკოს არ. დანელიანს და ბუხჰალტერ ვასაძეს (ნახევარი თვის ხელფასი);

ქობულეთის ჩაის ფაბრიკის მშენებლობის უფროს ჩომახიას და სამუშაოთა მწარმოებელ ინჟ. სულუხიას (თითო თვის ხელფასი), ინჟ. ბლაგინსკის და ტექნიკოს კარატაშევს (ნახევარ-ნახევარი თვის ხელფასი);

აჩიგვარის ფაბრიკის სამუშაოთა ხელმძღვანელ ველიაევს და ტექნიკოს ოსიპოვს (თითო თვის ხელფასი), ინჟ. ლიუბოვს (სანატორიუმის ერთთვიანი უფასო საგზური).

ტრესტის კაპიტალურ მშენებლობათა უფროს გეპნერს (თვიური ხელფასი და რადიოაპარატი); თითო თვის ხელფასი მიეცა მთავარ ინჟინრის მოადგილე ლეჟავას, საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელ გრონს, საგეგმო აღრიცხვის სექტორის უფროსს ჩაევსკის და საშენ მასალათა მომარაგების პასუხისმგებელ აღმასრულებელ რაზუმოვსკის.

ნასაკირალის, ლაითურის, ქობულეთის, აჩიგვარის, მამათის და სუფსის ჩაის ფაბრიკის დირექტორებს დაევალათ — პირველი ნოემბრისათვის წარმოუდგინონ ტრესტს სამკუთხედის მიერ დამტკიცებული სია მშენებლობის იმ ძირითად მუშაკებისა (ათისთავები, ბრიგადირები და სხვა), რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავის მოვალეობათა შესრულებაში.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. 6 ოქტომბერს გროდეკოვის სანაპირო რაზმის საბჭოთა სადარაჯო საგუშაგოს—ორი ცხენოსანი მესაზღვრის შემადგენლობით — საზღვრის ხაზიდან 3 კილომეტრის დაშორებით თავს დაესხა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადმოსული მანჯოუ-გოს რაზმი, — დაახლოებით 20 კაცი — იაპონელი ოფიცრის მეთაურობით. საზღვარგადმოსულებმა აღნიშნულ ცხენოსან მესაზღვრეებს სროლა აუტეხეს.

8 ოქტომბერს საბჭოთა ტერიტორიის იმავე პუნქტზე შემჩნეულ იქმნა იაპონია - მანჯურიის ახალი რაზმი—დაახლოებით 50 კაცი.

იაპონია - მანჯურიის რაზმების მიერ საზღვრის დარღვევის გამო საბჭოთა მთავრობამ კატეგორიული პროტესტი განუცხადა იაპონიისა და მანჯოუ-გოს მთავრობებს.

12 ოქტომბერს 16 საათსა და 5 წუთზე ხაბაროვსკის დროით იაპონია - მანჯურიის რაზმი—დაახლოებით 50 კაცი — გადმოვიდა საზღვარზე იმავე პუნქტის მახლობლად, სადაც 6 და 8 ოქტომბრამდე საზღვრის დარღვევა მოხდა. იაპონია - მანჯურიის რაზმმა საბჭოთა ტერიტორიის შიგნით გამოიარა კილომეტრზე მეტი და სროლა აუტეხა საბჭოთა სადარაჯო საგუშაგოს, რომელიც 2 ცხენოსანი მესაზღვრისაგან შესდგებოდა. მაშინ იაპონია - მანჯურიის რაზმიდან დაახლოებით 2,5 კილომეტრის მანძილზე მყოფი საბჭოთა ორი საგუშაგო — 18 კაცისაგან შემდგარი — მიეშველა პირველ საგუშაგოს. იაპონია - მანჯურიის რაზმმა თოფის და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხა საბჭოთა საგუშაგოებს და თავის შენიღბვის მიზნით ცეცხლი გაუჩინა ბალახს, რომლის კვამლი ჰფარავდა ამ რაზმს და მიდიოდა საბჭოთა სანაპირო რაზმისაკენ. სროლის შედეგად არიან მოკლულები და დაჭრილები, როგორც საბჭოთა მესაზღვრეების რიცხვში, აგრეთვე, მიღებული ცნობებით, იაპონია-მანჯურიის მხრითაც.

საზღვრის დარღვევის შესახებ ამ ცნობის მიღებისთანავე საბჭოთა მთავრობამ დაავალა თავის ელჩს ტოკიოში ენერგიული პროტესტი განაცხადოს. ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ წინადადება წამოაყენა დაინიშნოს შერეული კომისია საქმის გამოსაძიებლად. (ადს).

□ □ □

მცირე საკოორდინაციო კომიტეტის წინადადება

ჟენევა, 11 ოქტომბერი. დღეს, 15 საათზე, შეიკრიბა მცირე საკოორდინაციო კომიტეტი. თავმჯდომარედ პორტუგალიის წარმომადგენელი ვასკონსელლოსი აირჩიეს. კომიტეტმა დაადგინა წინადადება მისცეს დიდ საკოორდინაციო კომიტეტს მიიღოს გადაწყვეტილება, რათა დაუყოვნებლივ ემბარგო იტალიისათვის დაწესდეს იარაღის, საომარი საჭურველისა და საომარი მასალის მიწოდებაზე, აგრეთვე მოეხსნას ემბარგო აბისინიისათვის ამავე საგნების მიწოდებას. ემბარგოს ობიექტების სიად მიღებულია ის ნუსხა, რომელიც გამოაქვეყნა რუზველტმა ემბარგოს შესახებ 5 ოქტომბრის დეკრეტის გამოქვეყნებასთან ერთად.

საბჭოთა დელეგატმა პოტიომკინმა შეიტანა წინადადება რომ ამ სიის მე-6 კატეგორია შეივსოს პარაგრაფით — „ფეთქებადი ნივთიერებანი და დენთი“. ეს წინადადება მიიღეს.

გარდა ამისა, მცირე კომიტეტმა დანიშნა ორი ქვეკომიტეტი: 1) ე. წ. ფინანსიურ ექსპერტთა კომიტეტი საფრანგეთის, ინგლისის, საბერძნეთის, სამხრეთ - აფრიკის კავშირის, ჰოლანდიისა და პოლონეთის წარმომადგენლებისაგან. ეს კომიტეტი ხვალ დილით შეიკრიბება; 2) ე. წ. სამხედრო ექსპერტთა კომიტეტი (ინგლისის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის და ესპანეთის წარმომადგენლებისაგან), რომელსაც დაეკისრა შეიტანოს წინადადებანი, რომ შეივსოს ემბარგოდასადები საომარი მასალების სია. როგორც იტყობინებიან, საქმე ეხება იმის შესაძლებლობას, რომ ამ სიაში შეიტანონ ზოგიერთი ნედლეული, მაგალითად, ბამბა და სპილენძი.

დიდმა საკოორდინაციო კომიტეტმა, რომელიც დაახლოებით 19 საათზე შეიკრიბა ერთხმად მოიწონა მცირე კომიტეტის წინადადებანი ემბარგოს შესახებ.

მცირე კომიტეტი ხვალ შეიკრიბება და განიხილავს იმ ეკონომიურ საკითხებს, რომლებიც თავს იჩენს სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით. (ადს).

□ □ □

დამტკიცდა სია იარაღისა, რომლის იტალიაში შეტანა აკრძალულია

ჟენევა, 11 ოქტომბერი. სანქციათა საკოორდინაციო კომიტეტმა დაამტკიცა სია იარაღისა, საომარი მოწყობილობისა და საომარი მასალისა, რომელთაც იტალიაში შეტანა, თუნდაც სატრანზიტოდ, აკრძალულია. (ადს).

□ □ □

ანტიმონარქიული დემონსტრაციები საბერძნეთში

ვენა, 11 ოქტომბერი. იუწყებიან, რომ, საბერძნეთში შემოღებული საალყო წესების მიუხედავად, დღეს მრავალ ქალაქში დიდი ანტიმონარქიული დემონსტრაციები გაიმართა. მოხდა დემონსტრანტების გააფთრებული შეტაკება პოლიციასა და ჯართან. კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელიც მასებს საყოველთაო გაფიცვისაკენ მოუწოდებს. ქალაქ დრამასა, სერესსა, ლარისასა და პეტრასში ბევრი ფაბრიკის მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს. ქალაქ ტრიკალოში შეიარაღებულმა დემონსტრანტებმა რატუშის შენობაზე მიიტანეს იერიში.

მრავალ ქალაქში კომუნისტებსა და რევოლუციურ მუშებს მასობრივად აპატიმრებენ.

როგორც ათენიდან იუწყებიან, დააპატიმრეს ყოფილი მინისტრი ვენეზელისტები — სოფულისი, კაფანდარისი და მიხალაკოპულოსი, აგრეთვე ბევრი რესპუბლიკელი გენერალი და ოფიცერი. (ადს).

აბისინელების იერიში იტალიის ჯარის წინააღმდეგ

რომი, 11 ოქტომბერი. დღეს გამოირკვა, რომ აბისინელთა თვალსაჩინო რაზმმა სცადა შეჭრილიყო იტალიის ჯარის ზურგში და გადაელახა ერიტრეის საზღვარი დასავლეთ უბანზე. როგორც გაზეთი „ილ პიკოლო“ ამტკიცებს, იტალიის ფერადკანიანმა ჯარებმა, რომელნიც საზღვარზე იდგნენ, ეს ცდა მოიგერიეს, მაგრამ იმავე გაზეთის სიტყვით, ქ. ანგარებთან აღმოაჩინეს 20 ათასზე მეტი თანამედროვე იარაღით აღჭურვილი აბისინელი. როგორც ჩანს, აბისინელებმა მთელ რიგ სხვა პუნქტებშიაც ხელთ იგდეს ინიციატივა.

ასე, მაგალითად, აბისინელებმა ისარგებლეს ღამის სიბნელით და შეუტიეს იტალიელებს ომ აგერის რაიონში. იტალიის წყაროები იუწყებიან, რომ ბრძოლას გააფთრებული ხასიათი ჰქონდა (ადს).

□ □ □

იტალია-აბისინიის ომი

ლონდონი, 11 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო ადის-აბებიდან იუწყება, რას სეი იუმის ჯარებმა ისარგებლეს სიბნელით, მოულოდნელად თავს დაესხნენ ადუას, შეიჭრნენ ქალაქში და ამოსწყვიტეს იტალიის მთელი გარნიზონი—2.501 კაცი. ბრძოლა, რომელმაც მთელ ღამეს გასტანა, ბევრ ადგილას ხელჩართული შეტაკების ხასიათს ღებულობდა. აბისინელებმა დიდი ზარალი ნახეს, მაგრამ მაინც ხელთ იგდეს ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, ათასობით შაშხანები და მილიონობით ვაზნები.

ოგადენის ფრონტზე დიდი სიცხე ხელს უშლის იტალიელთა შეტევის განვითარებას. დიდი ბრძოლებია გორრაჰაის ხელში ჩასაგდებად. არტილერიის დაშენის შემდეგ, იტალიის ჯარებმა დაიკავეს აბისინელებისგან დატოვებული სანგრები, აბისინელები აქაც, ისე როგორც ჩრდილოეთის ფრონტზე, უმთავრესად პარტიზანულ მოქმედებას მიმართავენ და ცდილობენ გაარღვიონ იტალიელთა ხაზი, რათა იტალიის ზურგში შეიჭრან, მაგრამ აქ, ოაზისებსა და ჯარებს შუა დიდი მანძილის გამო, ასეთი მანევრები ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ჩრდილოეთით. გააფთრებული შეტაკებები ხდება, უმთავრესად, წყლის წყაროების დასაპყრობად. იტალიელთა სამი მოწინავე პოსტი მოწყვეტილია მთავარ ძალებს.

ხარარში ბრიტანეთის სომალიდან მოიტანეს ნახევარმილიონი ვაზნა და იაპონიიდან 150 ათასი ვაზნა.

ადის-აბებაში მიღებულია იარაღის და ვაზნების ახალი პარტიები. დიდძალი იარაღი მიიღეს ბელგიიდან.

იტალიის თვითმფრინავების თავდასხმის საფრთხესთან დაკავშირებით, ხარარში პანიკაა. ნახევარზე მეტმა მოსახლეობამ, მეტწილად ქალებმა და ბავშვებმა—ქალაქი დასტოვა და მეზობელ მთებს შეაფარა თავი.

ცნობას, აბისინიის ჯარები უკანდახევის დროს წყაროებს სწამლავენო, იტალიის სარდლობაც კი აბათილებს. ერიტრეის ფრონტის მარცხენა ფლანგზე მომქმედი იტალიური კორპუსის სარდალმა, გენერალმა სანტინიმ გაზეთების კორესპონდენტებს განუცხადა, „აბისინელები იბრძვიან როგორც ჯარისკაცები, და არა როგორც მომწამვლელნი“.

იუწყებიან, რომ აბისინელები სუდანის საზღვრის მახლობლად საგრძნობ აქტივობას იჩენენ. მდინარე ტაკაზესა და სეტის რაიონში თავმოყრილია დაახლოებით 20 ათასი აბისინელი. აბისინელთა პატრულებმა წინ წაიწიეს თვით ელეგამდე, რომელიც სუდანის, ერიტრეის და აბისინიის მიჯნაზე მდებარეობს.

ადის-აბებაში თავმოყრილია 125 ათასი ჯარისკაცი, რომლებმაც წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ იტალიის ჯარებს, თუ ისინი დედაქალაქს შეუტევენ. ერთადერთი სატელეფონო ხაზი, რომელიც დედაქალაქს ჩრდილოეთის ფრონტთან აერთებს, გაწყვეტილია. ამასთან დაკავშირებით, არ მოიპოება ცნობები აქსუმის მდგომარეობის შესახებ. როგორც აღნიშნავენ, აბისინიის ჯარებმა ბრძანება მიიღეს—უკან დაიხიონ.

ადის-აბებიდან რეიტერის სააგენტოს მიერ მიღებული უკანასკნელი ცნობებით, ნეიტრალურ დიპლომატიურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ჩრდილოეთის ფრონტზე, ადუის სამხრეთით, რეგულარული ბრძოლები დაიწყო. ბრძოლებში მონაწილეობენ რას სეი იუმის და რას კასის ჯარები. (ადს).

ბერლინი, 11 ოქტომბერი. გერმანიის საინფორმაციო ბიუროს კორესპონდენტი ასმარიდან იუწყება, რომ რას სეი იუმის ჯარები გამაგრდნენ 10 კილომეტრის მანძილზე ადუის ჩრდილო-აღმოსავლეთით. (ადს).

□ □ □

ქიმიური ომი აბისინიაში

ვენა, 10 ოქტომბერი. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იტალია-აბისინიის ფრონტიდან იუწყება, იტალიელები უკვე ფართოდ იყენებენ ქიმიურ საშუალებებს, რის გამო აბისინელებს დიდი ზარალი მოსდით. მრავალი ჯარისკაცი დაბრმავდა, მრავალი მძიმედ დაშავდა (ადს).

□

გადადგა პოლონეთის კაბინეტი

ვარშავა, 12 ოქტომბერი. პრემიერმა სლავეკმა რესპუბლიკის პრეზიდენტს გადასცა მთავრობის კოლექტიური თხოვნა გადადგომის შესახებ. თხოვნა დაკმაყოფილებულია. (ადს).

იტალიის ელჩი საელჩოს სარდაფში ჩაიკეტა

ლონდონი, 12 ოქტომბერი. გაზეთი „სტარი“ იუწყება, რომ იტალიის ელჩი გრაფი ვინჩი არ დაემორჩილა ბრძანებას ადის-აბებიდან წამოსვლის შესახებ, ჩაიკეტა იტალიის დიპლომატიურ მისიის სარდაფში და იარაღით აღჭურვილი, ახლოს არავის უკარებს. ვინჩიმ განაცხადა, არ წავალ სანამ ქალაქ მაგდალიდან იტალიის კონსული არ მოვაო. (ადს).

□

მობილიზაცია იტალიაში

რომი, 12 ოქტომბერი. გამოცხადდა თადარიგის (ცხენოსანთა (1907 წ. დაბადებულთა), ავტომობილისტთა (1909 წ. დაბ.) და სანიტარული სამსახურის მოთადარიგეთა ნაწილის 1910 წ. დაბ.) მობილიზაცია.

□ □ □ □ □ □ □

ომის გზაზე...



...გზა გახსნილია!

□ □ □ □ □



აბისინია

ტერიტორია და მოსახლეობა

აბისინიის ფართობი 1.150 ათასი კვადრ. კილომეტრია. მთელი ტერიტორიის დაახლოებით ერთი მესამედი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში უჭირავს უდაბნოებსა და უწყლო ველებს. ქვეყნის დასავლეთი ნაწილი დასერილია მაღალი მთებით. მდინარეები, რომლებიც ამ მთებიდან გამოდიან, ანოყიერებენ ინგლის-ეგვიპტის სუდანს და ეგვიპტეს. ამ მთაგრეხილების დასავლეთი ნაწილის ნიადაგი უაღრესად ნაყოფიერია.

მსოფლიო იმპერიალიზმის წყალობით აბისინიამ სავსებით დაჰკარგა ზღვაზე გასავალი და იგი მოექცა სამი იმპერიალისტური ქვეყნის—დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის კოლონიებს შორის. ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ზღვისგან მას აშორებს იტალიის კოლონია ერიტრეა, რომელიც 60 კილომეტრის სიგანით 1000 კილომეტრის სიგრძეზე გაჭიმული მეწამული ზღვის გასწვრივ. აღმოსავლეთით აბისინია ესაზღვრება საფრანგეთის და ინგლისის სომალს. სამხრეთით—იტალიის სომალსა და ინგლისის კოლონია კენიას, ხოლო დასავლეთით ინგლის-ეგვიპტის სუდანს.

აბისინიის მოსახლეობა 12 მილიონამდე აღწევს. უმრავლესობა მათ შორის აბისინიელებია (8 მილიონამდე), დანარჩენები აღსანიშნავია ე. წ. „გალლასები“, დანაკილები, სომალელები, ზანგები და სხვ. სახელმწიფო ენად ამჰარულია აღიარებული. უცხოელების რიცხვი აბისინიაში 5-6 ათასს უდრის.

ქვეყნის ცოტად თუ ბევრად დასახლებული ქალაქებია: დედაქალაქი—ადის-აბება,—100 ათასზე მეტი მცხოვრებით; ხარარი—40 ათასი მცხოვრებით; დირედაუა, გონდარი და სხვ.

სახელმწიფო წესწყობილება

სახელმწიფო წყობილების მხრივ აბისინია წარმოადგენს ცენტრალიზებულ მონარქიას, რომელსაც მეთაურობს იმპერატორი. მისი ძალაუფლება ფორმალურად აბსოლუტურია, მაგრამ ფაქტიურად შეზღუდულია ფეოდალების მიერ, რომელთა ხელში დიდძალი ადგილ-მამულია მოქცეული. იმპერატორებმა თედორე მეორემ და მენელიკ მეორემ მოახერხეს დაქუცმაცებული სამთავროების ერთ იმპერიაში გაერთიანება. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკლესია, რომლის ხელშიც თავმოყრილია აბისინიის მიწა-წყალის თითქმის ერთ მესამედი.

პროვინციებს მართავენ იმპერატორის მიერ დანიშნული „მეფისნაცვალნი“ ან გუბერნატორები (ხშირად ისინი იმავე პროვინციის შთამომავლობითი ფეოდალებია). გუბერნატორები იმავე დროს თავიანთი პროვინციის ჯარების სარდლებიც არიან. აი სახელწოდებანი: რასი (არმიის მთავარსარდალი), დეჯაზმაჩი (გენერალი) და ფიტაურარი (ავანგარდის მეთაური).

1931 წ. 16 ივლისს გამოქვეყნდა აბისინიის კონსტიტუცია, რომლითაც დაწესდა აბსოლუტური შთამომავლობითი მონარქია. ამასთან, კონსტიტუცია აწესებს ორპალატიანი სისტემის „სახალხო წარმომადგენლობას“. დეპუტატთა პალატას და სენატს (თვითეულში 56 წევრით). სენატის წევრებს იმპერატორი ნიშნავს, ხოლო დეპუტატთა პალატის წევრებს მსხვილი მემამულენი და ადგილობრივი მეთაურები ირჩევენ. აბისინიის პირველი პარლამენტი შესდგა 1931 წ. 3 ნოემბერს. ფაქტურად, სახელმწიფოს ცხოვრებაში პარლამენტი არავითარ როლს არ თამაშობს.

მთელი მიწა აბისინიაში იმპერატორის საკუთრებად ითვლება. მას ფორმალურად უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ მოიხმაროს მიწა. ნამდვილად კი, აბისინიაში მთელი ფეოდალური იერარქია არსებობს, რომელიც მიწის შთამომავლობით გადაცემას ეურდნობა. ნეგუსები მთელ ოლქებსა და პროვინციებს აძლევენ ხოლმე თავიანთ ვასალ თავადებს, გამოჩენილ სამხედრო პირებს და მეფისნაცვლებს. ეს უკანასკნელნიც ხელქვეით პირებს თავისი შეხედულებით აძლევენ მიწას. ფეოდალური საზოგადოების ფსკერზე დგანან ყმა-გლეხები, რომლებსაც ათასგვარ ფულად და ნატურალურ გადასახადებს აძლევინებენ სახელმწიფოს, შემამულის და უმაღლეს ფეოდალთა სასარგებლოდ.

ბატონყმობის თავისებური ფორმაა „გებარის“ სისტემა, რომელიც მხოლოდ იმ პროვინციებშია შემოღებული, სადაც არააბისინიური მოსახლეობა ცხოვრობს (უმთავრესად სახელმწიფოს განაპირა კუთხეებში). ამ სისტემის მიხედვით გლეხის ოჯახი მიმაგრებულია ადგილობრივ აბისინიელ მოხელეში და ამ ადგილებში მყოფ ჯარებზე. გებარები თავიანთ მიწაზე ცხოვრობენ, მაგრამ ვალდებული არიან თავიანთ ბატონებს არჩენონ და ყოველ მხრივ მოემსახურონ მათ, მისცენ მათ ყველაფერი, რაც კი დასჭირდებათ: ბინა, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, ფული და სხვ. სხვადასხვა თანამდებობის პირზე სხვადასხვა რაოდენობით გებარია მიმაგრებული. დიდ მოხელეს, მაგ. გუბერნატორის თანაშემწეს ჰყავს 200—300 გებარი, უბრალო ჯარისკაცს ორი-სამი და სხვ. ეს არის ფეოდალური ექსპლოატაციის ერთერთი მძიმე ფორმა. აბისინიაში აქამდე საბოლოოდ არ არის მოსპობილი მონობა, თუმცა უკანასკნელ წლებში მთავრობის რამდენიმე დადგენილება გამოვიდა, რომლითაც აკრძალულია მონების ყიდვა-გაყიდვა და შეზღუდულია თვით მონობა, (თავისუფლად არიან გამოცხადებული მონების ბავშვები, ბატონის სიკვდილის შემდეგ მონა თავისუფალი რჩება და სხვ.).

სამეურნეო წყობა

სოფლის მეურნეობა აბისინიაში მეტისმეტად პრიმიტიულია. მაგრამ, ნაყოფიერი ნიადაგის გამო, ბევრ რაიონში წლის გამავლობაში ორი და სამი მოსავალიც მოჰყავთ. უმთავრესი კულტურებია: მარცვლეული, ყავა, ბამბა და აქა-იქ შაქრის ლერწამი. ყავა საექსპორტო პროდუქტი.

თვალსაჩინოდ არის განვითარებული მესაქონლეობა. უმთავრესად მსხვილი რქოსანი მესაქონლეობაა განვითარებული. ცხენი ცოტაა, საპალნის საზიდად იყენებენ სახედარსა და ჯორებს, ხოლო უდაბნოში აქლემებს.

აბისინიაში ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობაა გაბატონებული. თვითეული გლეხის ოჯახი ძირითადად დამოუკიდებლად იკმაყოფილებს ყველა თავის მოთხოვნილებას. ადგილობრივი მრეწველობა,—უმთავრესად ხელოსნური და შინამრეწველური,—უკანასკნელ წლებში მეტისმეტად შეიკვეცა ევროპიდან, ამერიკიდან და იაპონიიდან იაფი საქონლის შეტანის გაძლიერების გამო, ამ კონკურენციის გამო განსაკუთრებით იზარალეს საფეიქრო, სამჭედლო და სხვ. დარგებმა. მიუხედავად ნედლეულის დიდი ბუნებრივი რესურსებისა, აბისინია მრეწველობის მხრივ მსოფლიოს ერთერთი ჩამორჩენილი ქვეყანაა.

მომპოვებითი მრეწველობა, განსაკუთრებით სამთამადნო მრეწველობა, იმპერიალისტური ქვეყნების ბრძოლის ობიექტს წარმოადგენს, ისინი ცდილობენ აბისინიაში მიიღონ კონცესიები და მოაწყონ მტაცებლური ექსპლოატაცია. უცხოეთის კაპიტალი უკვე დაბანდებულია ოქროს, პლატინის და სხვ. მრეწველობის დარგებში.

უკანასკნელ წლებში აბისინიაში აღმოჩნდა ნავთიც. ამერიკის და ინგლისის დიდი ფირმები ახლა იბრძვიან ამ სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად, ნავთის რესურსებზე მონოპოლიის მისაღებად.

სამთომადნო მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია აბისინიაში სამთომრეწველო პროლეტარიატის ადგილობრივი კადრების შექმნა. კონცესიებზე მუშაობს რამდენიმე ათასი ადგილობრივი მკვიდრი, რომლებსაც საკონცესიო კომპანიები სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ.

აბისინიის ვაჭრობის უმთავრესი არტერია—ჯიბუტ-ადის - აბებას რკინიგზაა, რომლითაც გააქვთ და შემოაქვთ საქონლის 75 პროც. მეტი.

აბისინიისათვის ბრძოლა

აბისინია მსოფლიოს ერთერთი უძველესი სახელმწიფოა. ათას წლების განმავლობაში ეს ქვეყანა, რომელიც მდებარეობს აზიის და აფრიკის ყელთან, ხმელთაშუაზღვიდან და მეწამული ზღვიდან ინდოეთის ოკეანეში გასავალ ისტორიულ გზაზე, არაერთხელ ყოფილა თავდასხმის და დაპყრობის ობიექტი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აბისინია დაიყო მრავალ სამთავროდ, რომლებიც ერთმანეთთან დაუსრულებლად ომობდენ. ეს დაყოფა მოხერხებულად გამოიყენეს მსხვილმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, რომლებმაც მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშივე დაიწყეს აღმოსავლეთ-აფრიკის სანაპიროებში ფეხის მოკიდება.

1869 წელს სუეცის არხის გახსნის და სუდანსა და ეგვიპტეში ინგლისის გამაგრების გამო, ბრიტანეთის იმპერიისათვის დიდად მნიშვნელოვანი ხდება აფრიკის აღმოსავლეთი სანაპიროები, სადაც გადის ბრიტანეთის იმპერიალიზმის საკომუნიკაციო და სტრატეგიული გზები. გასული საუკუნის 80-იან წლებში ინგლისელები უტევენ აბისინიას: აღმოსავლეთით ზღვიდან, დასავლეთით—ინგლის-ეგვიპტის სუდანიდან. ინგლისის ეს შეტევა დამთავრდა აბისინიის ნავთსადგურების—ზეილის და ბერბერის, ხოლო შემდეგ ბრიტანეთის ახლანდელი სომალის მთელი ტერიტორიის ხელში ჩაგდებით.

თავს საქმეს აკეთებდნენ საფრანგეთის და იტალიის იმპერიალისტებიც. 1864 წ. ფრანგებმა დაიპყრეს ნავთსადგური ობოკი ბაბელ-მანდების სრუტესთან, ხოლო შემდეგ ნავთსადგური ჯიბუტი და საფრანგეთის ახლანდელი სომალის დანარჩენი ტერიტორია. 1894 წ. საფრანგეთის ერთმა კომპანიამ ნეგუსიდან მენელიკისაგან მიიღო ჯიბუტიდან სუდანამდე რკინიგზის აგების კონცესია.

1882 წ. მარტში იტალიამ ხელში ჩაიგდო ნავთსადგური ასაბი მეწამულ ზღვაზე. ერთი წლის შემდეგ იტალიამ მენელიკთან დასდო „მეგობრობის“ ხელშეკრულება. 1885 წ. კი, ინგლისთან წინასწარ შეთანხმებით, მან დაიპყრო ნავთსადგურები მასაუა, ბეილული და სხვა პუნქტები. 1889 წ. მენელიკი აბისინიის იმპერატორი გახდა. მაშინ იტალიელებმა მას თავს მოახვიეს ახალი ხელშეკრულება, რომლითაც ფაქტიურად დაწესდა აბისინიაზე იტალიის პროტექტორატი. ამავე დროს სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით იტალიამ გაამაგრა აბისინიის საზღვრები, სადაც მოეწყო იტალიის მეორე კოლონია—სომალი.

აბისინიის ხალხებისათვის თანდათან ცხადი გახდა, თუ რას უმზადებდა მათ იტალიის იმპერიალიზმი. დაიწყო ანტიიტალიური მოძრაობა. მენელიკი იძულებული გახდა კავშირი გაეწყვიტა იტალიელებთან და გაეუქმებინა ხელშეკრულება. მას ომი მოჰყვა.

1899 წ. ადუასთან იტალიის დამარცხებამ და ინგლისთან სუდანისათვის ბრძოლაში საფრანგეთის დამარცხებამ მნიშვნელოვნად შესცვალა აბისინიისათვის მებრძოლ იმპერიალისტურ ძალთა ურთიერთობა. ამ შეცვლილი მდგომარეობის გამოხატულებას წარმოადგენდა 1906 წლის სამთა შეთანხმება, რომელიც ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიას შორის დაიდო.

1906 წ. შეთანხმება, რომელიც ფორმალურად დღესაც ძალაშია, უპირველეს ყოვლისა აწესებდა „აბისინიაში პოლიტიკურ და ტერიტორიალურ სტატუსქვოს“, ე. ი. ძალაში სტოვებდა აბისინიის ტერიტორიის წინანდელ დაპყრობას. საფრანგეთს ხელი უნდა აელო ადის-აბებას იქით, სუდანისაკენ რკინიგზის გაყვანაზე და დაკმაყოფილებულიყო ჯიბუტ-ადის-აბებას უბნით. საერთოდ, ამ შეთანხმებით სამმა სახელმწიფომ აბისინია გავლენის სფეროებად გაჰყო.

მსოფლიო ომის დამთავრებისას იტალიის იმპერიალიზმი კოლონიების მხრივ „დაზარალებული“ გამოვიდა. მოკავშირეებმა უარი უთხრეს მას აფრიკაში კოლონიების მიცემაზე.

იტალიის ფაშიზმმა ამგვარად წამოაყენა აფრიკის „რევიზიის“, ე. ი. ხელახალი გადაყოფის ლოზუნგი, რომლის განსახორციელებლად დაიწყო ყაჩაღური ომი აბისინიის წინააღმდეგ.

გ. მეგრელიშვილი □ □ □ □ □

რა აწუხებს იტალიის იმპერიალიზმს

იტალიამ 2 ოქტომბერს დაიწყო საომარი მოქმედება აბისინიის წინააღმდეგ. იტალიის მიერ ომის დაწყებას მსოფლიოს გადაყოფისათვის ის აჩქარებს, რომ მწვავე კრიზისის პირობებში კოლონიებით, მონოპოლური ბაზრებით ის ნაკლებ უზრუნველყოფილია. იტალიას აქვს მეტად არახელსაყრელი კოლონიები, რომლებსაც არ შეუძლიათ უზრუნველყონ იტალიის საქონელთა გასაღებისა და ნედლეულის ბაზარი.

ამჟამად იტალიას აქვს შემდეგი კოლონიები: ტრიპოლიტანია და ლივია ჩრდილოეთ აფრიკაში, 1,8 კვ. კლმ. უმთავრესად ქვიშიანი უდაბნო 700 ათასი მცხ., იტალიური სომალი, რომელიც დასავლეთით ესაზღვრება აბისინიას 500 ათასი კვ. კლმ. 1 მილიონი მცხოვრებით; ერიტრეა აბისინიის სამხრეთით მოსაზღვრეა 119 ათასი კვ. კლმ. 600 ათასი მოსახლეობით; ეგეის კუნძულები 117 ათასი მცხ. (ბერძნები) და ტიანცძინის კონცესია ჩინეთში 6 ათასი მცხოვრებით.

მართალია, იტალიის კოლონიების ტერიტორია დიდია, მაგრამ ეს ცარიელი უდაბნოებია, რომლებშიაც მოსახლეობა მხოლოდ 2½ მილიონამდე აღწევს. რასაკვირველია, იტალიის იმპერიალიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ამ კოლონიებს არ შეუძლიათ არც, როგორც ნედლეულის წყაროებს და არც, როგორც გასაღების ბაზრებს. ამ მხრივ იტალიის კონკურენტები გაცილებით უფრო კარგად არიან უზრუნველყოფილნი. პირიქით, მოსახლეობის უმეტესობა ამ კოლონიებში მეომარი მოხეტიალე ტომებია, რომელთა დაწყნარება დიდ ხარჯებსა და მსხვერპლს იწვევს იტალიის მხრივ.

ის გარემოება, რომ იტალია ჩამორჩა კოლონიების დაპყრობაში მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, აიხსნება იტალიის ისტორიული განვითარების თავისებურებით. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე იტალია მრავალ სახელმწიფოებად დაქუცმაცებული ქვეყანა იყო. მაშინ, როცა ის უნდებოდა ბრძოლას ნაციონალური გაერთიანებისათვის, როცა მისთვის მხოლოდ ნაციონალური გაერთიანების პრობლემა არსებობდა, სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები ძლიერ ნაციონალურ ერთეულებად ჩამოყალიბებულნი კოლონიებს კოლონიებზე იპყრობდენ აზიასა და აფრიკაში. ნაციონალური გაერთიანებისათვის ბრძოლა იტალიაში გაგრძელდა 1871 წლამდე. იტალიის დაგვიანებით გაერთიანებამ და მასთან დაკავშირებულმა სამხედრო სისუსტემ ჩამოარჩინა იტალია კოლონიების დაპყრობისათვის ბრძოლაში, მან მისი მოსაზღვრე კოლონიალური ქვეყნების დაპყრობაც კი ვერ შესძლო.

მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედიდან იტალია გაფაციცებით ეძებს დაპყრობის ობიექტებს, აწარმოებს ომებს კოლონიალურ დაპყრობათათვის, მაგრამ უშედეგოთ. მსოფლიო ომში მონაწილეობისათვის იტალიას უნდა მიეღო საკმაოდ დიდ ტერიტორიები წინა აზიაში. მაგრამ ომის მსვლელობაში იტალიამ გამოამჟღავნა თავისი სამხედრო სისუსტე, წარმატებით ვერ შესძლო დაეცვა თავისი საზღვრებიც კი. მოკავშირეებმაც ამის გამო სამაგიერო მიუზღეს: იტალიას არ მიუღია არც ერთი მანდატი კოლონიებზე. მოკავშირეების ასეთმა „ცუდმა მოპყრობამ“ გამოიწვია დიდი აღშფოთება იტალიის ბურჟუაზიაში და ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისი საგარეო პოლიტიკის მიმართულების დადგენაში.

ერთი სერიოზული მიზეზთაგანი, რომ იტალიური იმპერიალიზმი ომისაკენ ისწრაფვის და იწყებს სამხედრო გზით ბრძოლას ქვეყნის ხელახალი გადაყოფისათვის, იტალიის მძიმე ეკონომიური მდგომარეობაა. იტალიურ კაპიტალიზმს ეკონომიურმა კრიზისმა მეტად მწვავედ დაარტყა. იტალიის ფაშისტური ხელისუფლება მოურიდებლად ცდილობდა და ცდილობს მთელი სიმძიმე კრიზისისა გადაეკისრებინა მშრომელ მოსახლეობაზე. ეს თავის მხრივ, მოსახლეობის გაღარიბების შედეგათ, იწვევდა საშინაო ბაზრის შემცირებას და კრიზისის გადალახვის გაძნელებას, მის გაღრმავებას.

კრიზისმა იტალიაში საბანკო და საკრედიტო სისტემა მიიყვანა კატასტროფამდე. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა, რომელიც სხვათაშორის იმითაცაა გამოწვეული, რომ იტალია კოლოსალურ თანხებს ხარჯავს ომის მიზნებისათვის, იწვევს ლირის გაფასებას. საგარეო ვაჭრობაც პასიური ბალანსით ამ მიმართულებით მოქმედებს. იტალიის ექსპორტი ყოველწლიურად ეცემა. ფაშისტური ხელისუფლება, როგორც ამხ. ვარგა შენიშნავს, ღებულობს ყოველგვარ ღონისძიებას ექსპორტის გასადიდებლად, ამცირებს ხელფასს, აწესებს დაბალ ბაჟებს, მაგრამ უშედეგოდ. ახლა, როცა მსოფლიო ვაჭრობა ღებულობს ცალკე სახელმწიფოთა ორმხრივი შეთანხმების ფორმას და იმპორტი საყოველთაოდ მცირდება, იტალიის ექსპორტის საგნებზე მოთხოვნილება ძლიერ იკვეცება, რადგანაც იტალიის ექსპორტი შესდგება უმთავრესად მოხმარების საგნებისაგან (ფქვილის ნაკეთობები, ხილი, ყველი, აბრეშუმი, საფეიქრო ნაკეთობანი და სხ.), რომელთა შეყიდვაზე უარის თქმა თავისუფლად შეუძლია ამ საგნების შემომტან ქვეყნებს. თვითონ იტალიას კი ესაჭიროება ისეთი ნედლეული და წარმოების საშუალებანი, როგორიცაა ნახშირი, რკინა, ფერადი ლითონები, მანქანები, ნავთის პროდუქტები და სხვა, რომელთა იმპორტზე იტალიას უარის თქმა არ შეუძლია.

აი, მოკლეთ, ეს ძირითადი მიზეზები მიაქანებენ იტალიას ომისაკენ.

აბისინია ერთადერთი ქვეყანაა აფრიკაში, რომელიც დამოუკიდებელია. თავისი ტერიტორიით ის ორჯერ მეტია გერმანიაზე, მისი მოსახლეობა დაახლოებით 12 მილიონია. აბისინია მდიდარი არის ნედლეულით. აქ ხარობს ყავის ხე, შესაძლებელია ბამბის მოყვანა, პურეულის და სხვა. ქვეყანა მდიდარია აგრეთვე ნახშირის საბადოებით, რკინით, სპილენძითა და ოქროთი. აბისინია მფლობელია სწორედ იმ ნედლეულის, რომელსაც განსაკუთრებით საჭიროებს იტალია. აბისინიის ბუნებრივი სიმდიდრე დღემდე არ არის გამოყენებული. ქვეყანას მრეწველობა არ გააჩნია. ტყავეულების და თოფის წამლის ქარხანა, ტიპოგრაფია და ადის-აბების ელექტრო სადგური—აი აბისინიის „მრეწველობა“.

აბისინია არც გზებითაა უზრუნველყოფილი, პირიქით, ის უგზო ქვეყანაა. არსებობს ერთად ერთი შვიდასკილომეტრიანი ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა—ფრანგული ჯიბუტიდან ქალაქ ადის-აბებამდე. მგზავრობა მატარებლით ხდება კვირაში სამჯერ და ისიც დღისით. ამ გზის გავლისათვის საჭიროა სამი დღე. შარაგზები სავსებით არ არსებობენ. საქარავნო გზები და მთის ბილიკები მთავარი გზებია, რომელთა საშუალებით მოსახერხებელი ხდება მოსახლეობის მოძრაობა და გადასვლა-გადმოსვლა. მოსახლეობის შემოსავლის წყაროა მიწათმოქმედება, მეჯოგეობა, თევზის ჭერა და მონადირეობა. აბისინიას ახასიათებს საბაზრო-სასაქონლო ურთიერთობათა დიდი სისუსტე, იქ ბატონობს ფეოდალური ურთიერთობა, საგარეო ვაჭრობაც უმნიშვნელოა. საგარეო ვაჭრობის წლიური ბრუნვა 100 მილიონი მარკაა. შეაქვთ სამხედრო იარაღი, ქსოვილები, შუშეული და მძივები. გააქვთ სპილოს ძვლები, ყავა, კაუჩუკი, ბეწვეული და სხვა. შემოტან-გატანა წარმოებს უმთავრესად ხსენებული რკინიგზით.

აბისინია ფეოდალური სახელმწიფოა საგვარეულო ორგანიზაციისა და მონობის ნაშთებით. თავისი ნაციონალური შემადგენლობით ის ნარევი, მრავალტომიანი ქვეყანაა. მაგრამ ომი აბისინიის წინააღმდეგ მეტად მძიმე იქნება იტალიისათვის და შეიძლება ის იტალიის გამარჯვებით არ დამთავრდეს.

შეუძლებელია ეს ომი მიჩნეული იქნეს პატარა, მცირე მნიშვნელობის „კოლონიალურ ომად“ გარეგნულად ამ ომის წარმოებისათვის იტალიას თითქოს აქვს მთელი რიგი უპირატესობანი აბისინიასთან შედარებით. იტალიას აქვს საკუთარი სამხედრო მრეწველობა, ყავს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით გამართული არმია, მოსახლეობითაც ოთხჯერ ჭარბობს აბისინიას, მაგრამ სტრატეგიულ მდგომარეობას ეს უპირატესობანი თითქმის არარაობამდე დაჰყავს. გეოგრაფიული პირობები ომის საწარმოებლად იტალიისათვის არ არის ხელსაყრელი. იტალიის არმიამ სამხედრო საშუალებებით და სურსათით უნდა განვლოს 4—6 ათასი კილომეტრი, სანამ მიაღწევდეს საკუთარ კოლონიებამდე, რომლებიც აბისინიას ესაზღვრებიან (ერიტრეა და სომალი). იტალიამ თავისი ჯარი სამხედრო საშუალებებით და სურსათით თავის ქვეყნიდან ასე მოშორებული იტალიიდან უნდა ამარაგოს სისტემატურად (ჯარის მომარაგება, იტალიის ღარიბ კოლონიებს, რასაკვირველია, არ შეუძლია). ამას კიდევ ის ემატება, რომ იტალიის კოლონიების ნაპირები ჯარის გადასასხმელად მეტად მოუხერხებელია. მისადგომები ისეთი ვიწროა, რომ გემებს რამოდენიმე დღელამე ჭირდებათ გაჩერება ღია ზღვაში, სანამ შევიდოდენ იქ. მაგრამ იტალიის კოლონიებში გადმოსხმულ ჯარის ნაწილებმა 200—300 კილომეტრი უნდა გაიარონ საკუთარ ტერიტორიაზე, რომ აბისინიის საზღვრამდე მიაღწიონ და შემდეგ 500 კილომეტრამდე უნდა გადალახონ აბისინიის უდაბნოებით, სანამ მიაღწევენ მთებს, სადაც შესაძლებელი იქნება სამხედრო მოქმედების დაწყება.

აბისინიის უდაბნოები, რომლებიც უნდა გადალახონ იტალიის ჯარებმა, მსოფლიოში ყველაზე უფრო ცხელი რაიონია. ის უწყლოა, უგზო, მოკლებული ყოველგვარ სურსათისა და საცხოვრებელ ბინებს. იტალიიდან გაგზავნილ სამხედრო საშუალებების, სურსათის მიტანა სამხედრო მოქმედების რაიონებამდე მოითხოვს გზაში მათ დაცვას მუდმივ მოხეტიალე ტომებისაგან და დიდ მშენებლობას. იტალიელი ჯარისკაცების მეტად ცხელი და არა ჯანსაღი კლიმატის პირობებში მოხვედრა გამოიწვევს მასობრივ ავადმყოფობას, რის გამო გაძლიერდება დეზერტირობა და დეზორგანიზაცია იტალიის ჯარის ნაწილებში, (ამ მასობრივი დაავადების შესახებ იტალიის ჯარში უკვე იტყობინებიან ჩვენი გაზეთები). მართალია, იტალიის ჯარი უკეთესადაა შეიარაღებული, ვინემ აბისინიისა, აბისინიელებს არ აქვთ აეროპლანები, ტანკები და მძიმე არტილერია, მაგრამ, როგორც ამხ. ვარგა შენიშნავს, სამხედრო მოქმედების თეატრის თავისებურებების გამო არც ამ მომენტის გადაფასება შეიძლება. აბისინიაში არ არის დიდი ქალაქები, სამრეწველო (ცენტრები, რკინიგზები, აეროდრომები, რომელთა ბომბარდირებით შესაძლებელი იქნებოდა მოწინააღმდეგის ეკონომიური და სამხედრო ძალების განადგურება. გამოყენება ტანკებისა და მძიმე არტილერიისა, რომ გადალახული იქნეს კოლოსალური სატრანსპორტო დაბრკოლება შეუძლებელია ბუნებრივი პირობების გამო. მაღალი მთები, სადაც სამხედრო მოქმედება იწარმოებს გაუვალი უფსკრულებით თითქმის შეუძლებელს ხდის მათ გამოყენებას. გარდა ამისა. აბისინიის არმიას ის უპირატესობა აქვს, რომ ტერიტორია, სადაც სამხედრო მოქმედება იწარმოებს, მათთვის ნაცნობია, მას მხარს უჭერს ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა. ამას ისიც მიუმატეთ, რომ იტალიას არ აქვს ომის საწარმოებლად საჭირო ნედლი მასალა, არ აქვს ნახშირი, ნავთი, რკინა, საფეიქრო ნედლეული, ტყე, სურსათი და სხვა. ომის შემთხვევაში საჭირო იქნება იმპორტის თვალსაჩინოდ გაზრდა მაგრამ პასიური ბალანსის არსებობის გამო იტალიას თავის საშუალებებით, მსხვილი კრედიტების გარეშე, უცხოეთიდან ვალების მიუღებლად, არ შეუძლია ომის დაფინანსება, უცხოეთში საჭირო ნედლეულის ყიდვა ომისათვის. მაგრამ მსხვილი კრედიტების და სესხების მიღებაც იტალიას უცხოეთიდან არ შეუძლია.

ინგლისი დაინტერესებულია აბისინიის „დამოუკიდებლობაში“. ამიტომ იტალიას არავითარ დახმარებას არ გაუწევს. ამერიკამ, რომელმაც კარგა მსხვილი თანხები დაკარგა იტალიაში, სამხედრო კრედიტებს მას არ მისცემს. საფრანგეთი, რომელსაც უსუსტდება იტალიის ჯარის თავმოყრით აბისინიის საზღვარზე ერთიანი ფრონტი ჰიტლერის წინააღმდეგ ყოველგვარად ეცდება შეაჩეროს ეს ომი ან კომპრომისულად დაამთავროს იგი. რჩება გერმანია, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ იტალია აბისინიის საწინააღმდეგო ომში ჩაებას. მაგრამ თვით გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა მეტად ცუდია, იგი განიცდის იმ ნედლეულის ნაკლებობას, რაც იტალიას ომის საწარმოებლად ესაჭიროება.

ასეთ პირობებში იტალიას რჩება ერთი გამოსავალი—მიმართოს ფულის საბეჭდ დაზგას, ე. ი. განუსაზღვრელ ინფლიაციას.

ამ რიგად ეს ომი აბისინიის წინააღმდეგ მძიმე და საშიში ავანტიურაა ფაშისტურ იტალიისათვის.

◆

პრესის მიმოხილვა

ხელი მოჰკიდეს მუშგლეხკორების გამოჭედვას

„ლენინელი"—ჯუღელი, „ბრძოლა თამბაქოსათვის"—ლაგოდეხი

ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდის" სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით 6 თვის წინათ გაიმართა ჟურნალ „მუშათა და გლეხთა კორესპონდენტის" სარედაქციო კოლეგიის გაფართოებული თათბირი მუშგლეხკორთა შორის მომუშავეებთან ერთად. ამ თათბირმა ერთი ძირითადი საკითხი განიხილა—მუშგლეხკორთა გამოჭედვის, მათი გამოზრდის საკითხი. თათბირის შედეგების მასალები ძალიან ფართოდ გაშუქდა ჩვენს ცენტრალურ მუშგლეხკორულ ჟურნალებში. ზოგიერთი მათგანი ქართულადაც დაიბეჭდა.

„კომუნისტმა" ამ თათბირის შედეგების დასამუშავებლად რამდენსამე რაიონში მუშგლეხკორთა სპეციალური შეკრება ჩაატარა. ზოგმა რაიონულმა გაზეთმა ახლებურად მუშაობა დაიწყო. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ შემოღებული, და დანერგილი ყოფილიყო მუშგლეხკორთა შორის მასობრივი მუშაობის ის ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც ზემოაღნიშნულმა თათბირმა მოიწონა.

ორი რაიონული გაზეთია ჩვენს ხელთ. ერთი ქ. ჯუღელის—„ლენინელი" № 44 და ლაგოდეხისა—„ბრძოლა თამბაქოსათვის" № 43 და 44. ამ ნომრებში სპეციალური გვერდებია ძირეული პრესისა და მუშგლეხკორთა საკითხებზე თათბირის შედეგებთან დაკავშირებით. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

გაზ. „ლენინელის" № 44-ში დაბეჭდილია მეთაური მუშგლეხკორთა მუშაობის გარდაქმნის შესახებ, ფელეტონი მუშგლეხკორთა რაიონული შეკრების შედეგებზე და საქ. კ.პ. (ბ) ჯუღელის რაიკომის ბიუროს დადგენილება გაზ. „ლენინელის" ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ბიუროს ეს დადგენილება იძლევა რაიონულ პრესაზე და მუშგლეხკორთა მოძრაობაზე ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის სწორ ხაზს. დადგენილებაში მოცემულია ყველაფერი ის, რაც უზრუნველყოფს რაიონული გაზეთის და მუშგლეხკორთა მოძრაობის ნამდვილ გაუმჯობესებას და ახლებურად გარდაქმნას. მოგიყვანთ ამ დადგენილებიდან ზოგიერთ ადგილს.

„მუშგლეხკორთა შორის მუშაობისათვის დაწესდეს რაიონში სპეციალური დღეები 6 და 16 რიცხვი. მუშგლეხკორთა და კედლის გაზეთების რედაქტორთა პოლიტიკური და მუშგლეხკორული დონის ამაღლებისათვის რაიონში გაიხსნას სამი წრე: ერთი საკოლმეურნეო კედლის გაზეთების რედაქტორებისათვის, ერთი კოლმეურნე გლეხკორებისათვის და ერთი [illegible] მუშკორებისათვის. შეიცვალოს რედაქციაში ამჟამად მომუშავე მუშგლეხკორთა ორგანიზატორი უფრო ძლიერი და პოლიტიკურად მომზადებული ამხანაგით. შემოღებულ იქნას წესად კედლის გაზეთების რედაქტორთა, პარტკომების მდივანთა და პარტორგანიზატორთა ანგარიშების მოსმენა რაიკომის ბიუროს სხდომებზე მუშგლეხკორთა შორის მათი მუშაობისა და ხელმძღვანელობის შესახებ".

რაიკომის ბიუროს ამ დადგენილებით შექმნილია აგრეთვე პარტიული კომისია ძირეულ პრესაზე და მუშგლეხკორებზე პარტიული ხელმძღვანელობის გასაწევად და დაარსებულია რაიონული გაზეთის რედაქციასთან სარეცენზიო ბიურო.

მუშგლეხკორთა შეკრება ამ რაიონში 28 ივლისს იყო. რაიკომის ბიურომ ეს დადგენილებაც ამ დღეს გამოიტანა და შეკრებაზე წაიკითხეს.

პირველი ნაბიჯი, რომელიც გაზ. „ლენინელმა" გადადგა რაიკომის ბიუროს ამ დადგენილების შესასრულებლად, მუშგლეხკორებისა და კედლის გაზეთების რედაქტორებისათვის წრეების ჩამოყალიბებაა. გაზეთს ახლა სამი წრე აქვს ჩამოყალიბებული რაიონში, რომელშიაც 50 მუშგლეხკორი და 20 კედლის გაზეთის რედაქტორი მეცადინეობს. რედაქცია არჩევს მუშგლეხკორთა წერილებს და გაზეთის საშუალებით ასწავლის მათ თუ როგორ უნდა წერონ. ვნახოთ, როგორ გამოიყენებს გაზეთი „ლენინელი" პარტიის რაიონული კომიტეტის დახმარებას და როგორ გარდაქმნის ბოლომდე თავის მუშაობას ძირეული პრესისა და მუშგლეხკორებზე ხელმძღვანელობის დარგში.

გაზ. „ბრძოლა თამბაქოსათვის" № 43-ში სწერია:

„გაზეთ „ბრძოლა თამბაქოსათვის" მორიგ ნომერში დაბეჭდილი იქნება საზოგადო კედლის გაზეთების რედაქტორების პირველი სარაიონო კონფერენციის შედეგები და რაიკომის დადგენილება კედლის გაზეთების მუშაობაზე ხელმძღვანელობის შესახებ. ეს მასალები დამუშავდება მორიგ პარტდღეზე".

ამ გაზეთის № 44-ში კი უკვე ვხედავთ ძირეული პრესისა და მუშგლეხკორული საკითხების შესახებ მთელ გვერდნახევარ მასალას. აქ არის: პრაქტიკული ღონისძიებები, რომელიც მიიღო საკოლმეურნეო საზოგადო კედლის გაზეთების რედაქტორთა პირველმა სარაიონო კონფერენციამ კედლის გაზეთების მდგომარეობისა და მომავალი მუშაობის შესახებ, მასალა მუშგლეხკორთა დღეების და კედლის გაზეთებზე პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ. მიცემულია აგრეთვე თამბაქოს დამზადების და საშემოდგომო სახ. სამ. კამპანიის უკეთ ჩატარების მიზნით გაზ. „ბ. თ." მიერ საუკეთესო საზოგადო კედლის გაზეთებზე გამოცხადებულია კონკურსის პირობები. ამავე ნომერში მოთავსებულია საქ. კ.პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის ბიუროს დადგენილება საკოლმეურნეო საზოგადო კედლის გაზეთების რედაქტორთა პირველი სარაიონო კონფერენციის შედეგების შესახებ. რაიკომის ბიუროს ამ დადგენილებით დაიწყება რაიონში მუშგლეხკორთა დღეების ჩატარება. შექმნილია პარტიული კომისია ძირეული პრესაზე და მუშგლეხკორებზე პარტიული ხელმძღვანელობის გასაწევად. ამ კომისიას წინადადება მიეცა მოაწყოს გამსვლელი სხდომები და სისტემატურად მოისმინოს პარტორგანიზაციების მოხსენებები კედლის გაზეთებზე მათი ხელმძღვანელობის შესახებ. რაიკომის ბიურომ ამ დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ პირველადმა პარტორგანიზაციებმა სისტემატურად მოისმინონ ანგარიშები საზოგადო კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ და მიიღონ ზომები მოთავსებული წერილების შედეგიანობისათვის.

საქ. კ.პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომი დიდ მზრუნველობას იჩენს ძირეული პრესისა და მუშგლეხკორთა მოძრაობისადმი. ამიტომაა, რომ მისი ორგანო „ბრძოლა თამბაქოსათვის" მეტ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს და ყოველდღიურ საზრუნავ საქმედ აქვს გადაქცეული ძირეულ პრესისა და მუშგლეხკორთათვის დახმარება და ხელმძღვანელობა. ლაგოდეხის პარტრაიკომმა წინათაც, მოსავლის აღების დაწყებამდე ამ დარგში მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. მან დირექტივა მისცა პირველად პარტორგანიზაციებს, რომ პარტდღეებზე დამუშავებულიყო საკითხი ძირეული პრესისა და მუშგლეხკორების ამოცანათა შესახებ მოსავლის აღების პერიოდში. გარდა ამისა რაიკომის დადგენილებით გაზ. „ბ. თ." მოაწყო რაიონში საზოგადო კედლის გაზეთების კურსები. ამ კურსებმა კარგი შედეგი გამოიღო. მისი მუშაობა დადებითად შეაფასა ახლად ჩატარებულმა საკოლმეურნეო საზოგადო კედლის გაზეთების რედაქტორების რაიონულმა კონფერენციამ.

როგორც ჯუღელის რაიონული გაზეთმა („ლენინელი"), ისე ლაგოდეხის რაიონული გაზეთმა („ბრძოლა თამბაქოსათვის") კარგად მოჰკიდეს ხელი რაიონის ძირეულ პრესაზე და მუშგლეხკორებზე ხელმძღვანელობას. კარგად დაიწყეს მუშგლეხკორთა გამოჭედვის საქმე. ეს იმიტომ, რომ პარტიის რაიკომები ამ საქმეში მათ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევენ.

ახლა ამ გაზეთების ამოცანაა არავითარ შემთხვევაში არ დაკმაყოფილდნენ მარტო მუშგლეხკორთა წრეების, სემინარებისა და მუშგლეხკორთა თათბირების ჩატარებით, არამედ მიაღწიონ იმას, რომ გაზეთის ფურცლებზე გამოხატულება ჰპოვოს ყველა ამ წრემ, სემინარმა და თათბირმა და გაზეთი დაამშვენოს ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის დამკვრელთა, მუშგლეხკორთა წერილებმა, შენიშვნებმა და კორესპონდენციებმა.

ვფიქრობთ, ამ მაგალითიდან სათანადო დასკვნას გამოიტანს პარტიის სხვა რაიონული კომიტეტები და მათი გაზეთები.

მარიამ გარიყული

„მწვანე ოქროს" პლანტაცია

აღმოსავლეთით ანასეულის ჩაის საგამოკვლევო ინსტიტუტი, დასავლეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით მდინარე ნატანები და სამხრეთით პატარა ჩოლოქი ფარგლავენ ლაითურის საბჭოთა მეურნეობის 4000 ჰექტარ მიწას, სადაც „მწვანე ოქროს" პლანტაციაა გაშენებული.

ჯერ კიდევ 7 წლის წინათ აქ იყო გაუვალი ტყე, გარეული ღორისა და მგლის თავშესაფარი, ციების ბუდე. „ჩიტი კურკას ვერ გაიტანდაო", — მითხრეს. მაგრამ დღეს რკინა-ფოლადისაგან ნაგები კაცის ნებასურვილით ეს უდაბური ადგილი თვალწარმტაც წალკოტად ქცეულა.

ავტომანქანა შეურდულივით მიჰქრის ლარივით გაჭიმულ გზატკეცილზე. ოთხი საათია გარშემო ვუვლით მამულს. „ორი საათი კიდევ უნდა ვიაროთ", — მეუბნება მეურნეობის დირექტორი. კაცს აქეთ-იქით გაურბის თვალი, არ იცი, რას უყურო და რომელი სილამაზე ალიბეჭდო მეხსიერებაში. ხელისგულივით გაშლილი ვაკე, ფერდობები, ქედები გადასერილია სიმეტრიულად გაყვანილი, მსხვილი ნაწნავებივით დალაგებული კვლებით, რომლებზეც დაკულულებულა ჩაის მწვანე ბუჩქები. წითელ ნიადაგს აქა-იქ ალმაცერად ეცემა მზის სხივები და ცისარტყელასავით ელვარებს. დეკორაცია ყოველ წუთს იცვლება, კადრი კადრს სცვლის. ხალხი მუმლივით გადაჰფენია მინდვრებს. მოსჩანს ყვითელი დიდი ჩალის ქუდები, წითელი და თეთრი თავსაფრები. ხალხი მისევია ჩაის ბუჩქებს, ჰკრეფენ, სწმენდენ, სთოხნიან, ბალახს აცლიან.

ლაითურის მეურნეობაში ბოლოს გამგედ მოვიდა ნაცად-გამოპრძმედილი კაცი, რომელმაც თან მოიტანა უზარმაზარი შირაქის [illegible], უთვალავი ტრაქტორების, კომბაინების, ურმებისა და ადამიანების აურზაური. აქ დახვდა მოლიანიდან ლიხაურამდე და ნატანებიდან ჩოლოქამდე 1015 ჰექტ. მხოლოდ ჩაის კულტურა, 100 ჰექტ. ტუნგო, 52 ჰექტ. ბამბუკი, 25 ჰექტ. წიწვიანი ტყე და ტუნგოს სანერგე, 14 ჰექტარი მანდარინი და ხურმის სანერგე. სარეველა ბალახს, ბუჩქის გახშობას, მალარიას, მუშათა დენადობას აქ ყველგან მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი. ლაითურის მეურნეობა ჩამორჩენილთა შორისაც კი უკანასკნელი იყო.

„ამ მდგომარეობას თავი უნდა დავაღწიოთ, საკუთარი ძალღონით უნდა ამოვათრიოთ ჩაძირული საქმე", — სთქვა ამხანაგმა და შემოიკრიბა ირგვლივ თანამშრომლები.

საწარმოო თათბირმა გამოიტანა დადგენილება: „შორს ჩვენგან ურიგობა, ძილი და უსაქმობა, გავსწორდეთ წელში და გავამართლოთ ჩვენზე დამყარებული იმედი. არცერთი სარეველა ბალახის ძირი, არც ერთი გამცდარი საათი". შესდგა სამეული, განაწილდა ფუნქციები და უბნებზე მიამაგრეს ორგანიზატორები. აღარ იყო ღამე და ძილი, აღარ იყო ჭამი მოსვენებისა. სამუშაოს ვერ ასდიოდა ის 150 კაცი, რომლებიც პლანტაციებზე მუშაობდნენ, ამიტომ მოუმატეს მუშა-ხელი. მალარიის მოსასპობად 850 ჰექტარზე უნდა გათხრილიყო 3500 კუბ. მეტრი სადრენაჟო არხები, რომლებიც ამოაშრობდა 650 ჰექტარ ფართობს. სინამდვილეში კი 1-ლ ივლისს ამოღებული იყო 1300 კუბ. მეტრი. 1000 ჰექტ. პლანტაცია გადაბარეს, გასხლეს, გააპატივეს, აშენდა საცხოვრებელი სახლები, ბარაკები გადაკეთდა ბინებად. გაიხსნა საექიმო პუნქტები. გამოცოცხლდა მიძინებული ცხოვრება.

1934 წლ. თებერვალში მეურნეობა უკვე შეჯიბრებაში იწვევს სხვა მეურნეობებს. მას დაერქვა ამხ. კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა.

ხელმძღვანელობამ მწვავედ შეიგრძნო მოვალეობა. მთელი ძალღონით ეკვეთა საქმეს

გაზაფხულის პერიოდია. ღამეა ჩუმი, წყნარი. სიოც არ იძვრის. ნაგვიანევი მთვარე თეთრად დაჰქათქათებს მწვანეზოლებიან ხალიჩას და ზედ ვერცხლის სხივებს აფრქვევს. ღამის სიჩუმე გუგუნმა დაარღვია. პირველ უბანში გაჩერდა ავტო. შიგ სამი კაცი ზის. ეს სამეულია. უბნებს უვლიან, აღვიძებენ აგროტექნიკოსებს, აძლევენ დავალებას, განკარგულებას საზეალოდ:

ფოტო შ. ფურცხვანიძისა.

ლანჩხუთის მტს-ის აგრონომი რომან მგელაძე ესაუბრება კოლმეურნე ქალებს სოფ. ლესის ჩაის პლანტაციებში ხარისხოვანი კრეფის საკითხებზე

□ □ □ □ □ □ □

ნ. გიორგაძე

კიროვის სახ. ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

კიროველების სიტყვა და საქმე

ლაითურის ამხ. კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთელმა კოლექტივმა სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე იკისრა — არცერთ მაჩვენებელში არ ჰქონოდა გარღვევა და სამაგალითოდ უზრუნველეყო 1000 ჰექტარზე ჩაის თვითეული ბუჩქის წესიერი მოვლა-პატრონობა.

ჩვენ ვხელმძღვანელობდით დიდი სტალინის ლოზუნგით „კადრები სწყვეტენ ყველაფერს" — მეურნეობის 6 რაიონი და 30 უბანი შევავსეთ შერჩეული, მცოდნე აგროტექნიკური პერსონალით. მოვაწყვეთ ბინები 266 ოთახით, სადაც 700-მდე მუშა ცხოვრობს თავიანთი ოჯახებით. ყველა რაიონში გავმართეთ საბავშვო კერა 182 ბავშვისათვის: 350 ოჯახს მივეცით საბოსტნე და საყანე მიწები (დამუშავებით და თესლის დახმარებით); ოთხ რაიონში დავაარსეთ საექიმო პუნქტი, აგრეთვე მოვაწყვეთ საავადმყოფო ბავშვთა და ქალთა კონსულტაციით; გავაძლიერეთ მესაქონლეობის და მეღორეობის ფერმები, გავაშენეთ ბოსტანი 50 ჰექტარზე.

ფოთლის კრეფის შესასრულებლად, პლანტაციების წესრიგში მოსაყვანად და სარეველა ბალახთან ბრძოლის გასაადვილებლად წელს მთლიანად გადავბარეთ 1000 ჰექტარზე გადაჭიმული პლანტაცია, 900 ჰექტარზე შევიტანეთ მინერალური სასუქი და წესიერად ჩავატარეთ ბუჩქის გასხვლა - გაფორმება.

სამი კვარტალის განმავლობაში პლანტაციებზე 18 სახის სამუშაოთა შესასრულებლად გათვალისწინებული იყო 101.188 კაცდღის დახარჯვა (325.099 მანეთის ღირებულებისა), ფაქტიურად დაიხარჯა 86.715 კაცდღე. (318.813 მანეთის ღირებულების). სამ კვარტალში შრომის ნაყოფიერება 14,2 პროც. გაიზარდა.

წელს 185 ჰექტარი პლანტაციის ნაცვლად 205 ჰექტარზე ჩავატარეთ კაპიტალური რემონტი. ახლა მათი აღმოცენება კარგია. შევავსეთ ის პლანტაციებიც, სადაც, პასპორტიზაციის მიხედვით, ჩაის ბუჩქი ჰექტარზე მხოლოდ 47 პროც. იყო. წელსვე 30 ჰექტარის ნაცვლად ტრანშეა 63 ჰექტარზე გავაფართოვეთ.

კულტივაციის გასაადვილებლად სარეველა ბალახებისაგან სავსებით გავსწმინდეთ ყველაზე მეტად დანაგვიანებული რაიონები (1-ლი, მე-2, მე-5 და მე-6).

ერთერთ უდიდეს პირობად, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა აღნიშნულ სამუშაოთა დროულად ჩატარებაში, ეს იყო ყველა დარგის მომუშავეთა შორის უფლება - მოვალეობის ზუსტად განსაზღვრა, პასუხისმგებლობის გაძლიერება, დავალების შესრულების სისტემატური შემოწმება, სამუშაო დროის შემჭიდროება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, ერთმმართველობის პრინციპის მტკიცედ გატარება.

გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული ენერგია და დამკვრელობა გამოიჩინეს აგრონომებმა: კვაჭაძემ, სიხარულიძემ, ფირცხალაიშვილმა და პატრავამ; თავიანთ უბნებზე არანაკლებათ იბრძოდნენ აგროტექნიკოსები: მიქატაძე, ბაქანიძე, კვირჩილაძე, ჩანჩიფაძე, ფასეიშვილი და გოთუა; მუშებში კი ყოველდღიურად კრეფის ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ: დომნა შიმორგუნი, მარო გელაშვილი, ივანოვა, ვერა ზუბჩენკო, ელისაბედი რაიში, ტატიანა საფონოვა, ოლია ბილაიშვილი და ნინა კოვაჩუკი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე შოფერების — ღლონტის, რამიშვილის, ქიღვარიას, კაკატირის და სხვათა თავდადებული მუშაობა. ავტოკოლონის ამ დამკვრელებს 6 თვის განმავლობაში არცერთი ავარია არ ჰქონიათ.

მეურნეობამ ჩაის კრეფის წლიური დავალება 1 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა, — ნაცვლად 274 ათასი კილოგრამისა, მოკრიფა 278 ათასი კილოგრამი. არსებულ დირექტივის საფუძველზე მაისის და ივნისის თვეებში, ცუდი კლიმატური პირობების გამო, მოიკრიფა 54 ათასი კილოგრამი არახარისხოვანი ყრუ დუყი. ამით მოკრეფილი ჩაის ხარისხი დაეცა, 100 ათას მანეთამდე ვიზარალეთ.

წლიური გეგმის შესრულებისთანავე გადამწყვეტი ზომები მივიღეთ ხარისხის გაუმჯობესებისათვის. რაიონებსა და ბრიგადებს დამატებით მიეცათ დავალებები. ენერგიული მუშაობის გაშლით წლიურ გეგმის გადამეტებით მოვკრიფეთ 54 ათასი კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაი. ამით მაღლა ავწიეთ ჩაის ხარისხი და ფინანსიური გარღვევაც გამოვასწორეთ.

სამეურნეო წლის დასაწყისში ლაითურის საბჭოთა მეურნეობას უდიდესი ფინანსიური გარღვევა ჰქონდა. დავალიანება 720 ათას მანეთს უდრიდა. ასეთ პირობებში მუშაობა ძალიან გვიძნელდებოდა, მაგრამ ამხ. ლავრენტი ბერიას მიერ მეურნეობის დათვალიერებისა და ყოველდღიური ხელმძღვანელობის და დახმარების შედეგად, მდგომარეობა გამოვასწორეთ. ყოველი სახის დავალიანება დავფარეთ. მტკიცე ფინანსიური დისციპლინის გატარებით ახლა ჩვენ არცერთ დარგში გადახარჯვა არა გვაქვს.

ჩაის კრეფასთან ერთად კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი დამკვრელი ტემპებით შეუდგა პლანტაციების საშემოდგომო - საზამთრო სამუშაოების ჩატარებას.

□ □ □ □ □ □ □ □ □

ფოტო შ. ფურცხვანიძისა.

პიონერი გოგონა სიუზა ჩხაიძე რომელიც სკოლიდან დაბრუნების შემდეგ კრეფს დღეში 1 კილოგრამ ჩაის ფოთოლს (კოლმ. „კოლექტივიზაცია"-ს. აცანა)

□ □ □ □ □ □ □ □ □

„შვიდ საათზე იყოს მუშა-ხელი. პირველი ხარისხის ნაზი ფოთლის ნორმა ათი კილოა. არავინ დარჩეს ბინებში. ყველა იქ — პლანტაციაზე უყურეთ ხარისხს, გააფრთხილეთ ბრიგადირები—ფოთოლი კალთაში არ დაიკრიფოს, მზეზე არ დარჩეს დიდხანს და დროზე იქნას პუნქტებში მიტანილ-ჩაბარებული".

აგროტექნიკოსი გულში იბეჭდავს ამხანაგებისაგან მიღებულ დარიგებას. მანქანა მიჰქრის დანარჩენ რაიონებში, ყველგან ერთი ამბავი მიაქვს: „სადარაჯოზე, სადარაჯოზე".

გარიჟრაჟზე ზარის ხმამ წამოშალა ხალხი ბინებიდან, გროვდებიან პუნქტებში, ელიან ტრანსპორტს, რომელიც მათ მუშაობის ადგილზე გადაიყვანს.

დირექტორის ავტო უბნიდან უბანში დარბის საერთო აღტყინება შოფერსაც გადასდებია. სამეულთან ერთად გაუთენებია. ხელები არ ეღლება საჭის მართვით, ისიც ასრულებს თავის გეგმას. შეგროვილ ხალხთან დგება მანქანა... იმართება მოკლე მკვეთრი და ცოცხალი საუბარი.

— ამხანაგებო, თქვენ წაიკითხავდით უკანასკნელ დადგენილებას გეგმის შესახებ. რას ფიქრობთ ამაზე, როგორა გვაქვს საქმე?

— საქმე კარგად გვაქვს, ვკრეფთ. შევასრულებთ გეგმას.

— არა, ამხანაგებო, გეგმის შესრულება როდი კმარა. ჩვენ უნდა გადავაჭარბოთ, ჩვენ სანიმუშო, წამყვანი უნდა გავხდეთ. ჩვენზე დიდ იმედებს ამყარებს — პარტია და ხელისუფლება. ამიტომ გვეწოდა ჩვენ შეუპოვარი მებრძოლის ამხ. კიროვის სახელი. ამხანაგებო, თქვენ შეასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს. თქვენზე ზრუნავენ, თქვენ ყველაფრით მოგიწყეს ცხოვრება, არც თქვენ უნდა შერცხვეთ და საუკეთესო მუშაობით უნდა უპასუხოთ ამ ზრუნვაზე... ჩვენ გავასწრებთ ყველა მეურნეობას. ხომ ასეა, ამხანაგებო.

— ასეა, ასე — იგრიალა ხალხმა.

— ამხანაგო დირექტორო, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ თუ გუშინ ათ კილოს გაბარებდით, დღეს ჩაგაბარებთ 12 კილოს, ხვალ კი უფრო მეტს, — სთქვა ტამბოველმა ქალმა.

— ამხანაგო, თქვენ ზრუნავთ ჩვენზე და ჩვენს შვილებზე. ჩვენც უნდა მოვიხადოთ ჩვენი ვალი, — დაიძახეს აქეთ-იქიდან ქალებმა.

— ამხანაგებო, შერცხვეს ჩვენს შორის, ვინც არ იბრძოლოს პირველობისათვის. ჩვენ გადავაჭარბებთ მოცემულ გეგმებს. ხომ ასეა, ქალებო!

— ასეა, ასე... ჰაი, ჰაი, რომ ასეა!

— მაშ ასე, ამხანაგებო, ჩვენ გვეხმარებიან ახლომახლო სოფლები, გვეხმარებიან კოლმეურნეობები, მით უმეტეს თქვენ გმართებთ მონდომება. დარწმუნებული ვარ, ჩვენ გადავლახავთ ყველა დაბრკოლებას თქვენი დახმარებით და ავიღებთ პირველობას. ამხანაგებო, თქვენ მოგცეს კარგი ბინები, ნაკვეთი მიწები ბოსტნებით, დათესილი სიმინდი, გაგიჩინეს საქონელი, თქვენი შვილები — მომვლელების ხელში არიან საბავშვო ბაგებში, ბაღებში, კერებში, თქვენ გგზავნიან დასასვენებლად კურორტებზე, თქვენს კეთილდღეობაზე მუდამ ზრუნავს ხელისუფლება. მაშ რამ უნდა შეგვიშალოს ხელი, რათ უნდა ჩამოვრჩეთ?

შეირყა ჯგუფები. გულის სიღრმეში ჩასწვდათ ამხანაგების სიტყვა.

ბიჭებმა ქუდები მაღლა შეაგდეს, მათ გოგოები აჰყვნენ და მინდვრები ალტაცებისა და ხალხის ჟრიამულმა გააყრუა.

○

ლაითურის მეურნეობამ მართლაც დაიბერტყა მტვერი, შეისწორა ფრთები, დაეწია და გაასწრო. ჯერ კიდევ 25 აგვისტოს 100 პროც. შეასრულა დავალების წლიური გეგმა.

მუშაობა ისევ დუღს და გადმოდის. გეგმის შესრულებაში ტემპები არ ნელდება. აგრონომ-ტექნიკოსები, დირექტორის მოადგილეები, მუშკომი, პარტკომი, კომკავშირის ორგანიზაცია მხარში უდგანან კაცს, რომელმაც ფეხზე დააყენა საქმე.

— სულ ახლო მომავალში, როდესაც ეს დარჩენილი ტყე და ბუჩქნარი აღარ იქნება... როდესაც 4000 ჰექტარზე გაიშლება სხვადასხვა კულტურები: 2500 ჰექტარი ჩაი, 250 — ტუნგო, 150 — მანდარინი, 300 — ბამბუკი და სხვ., 7.000.000 კილოგრამ ჩაის გადასამუშავებლად ამუშავდება სამი უდიდესი ფაბრიკა, აშენდება ორი ისეთივე გიგანტი, როგორიც თქვენ ნახეთ დღეს. როდესაც მოვკრეფთ 2.740.000 კილოგრამ ჩაის, როდესაც მანდარინის და ლიმონის ტყეებს დაამძიმებს ოქროს ნაყოფი, მაშინ მეურნეობაში 13.000 მუშა-ხელი იქნება. აქ შეიქმნება წარმტაცი და მშვენიერი ახალი ცხოვრება, — მეუბნება ამხ. გიორგაძე.

ერთი საათის გზა კიდევ გვაქვს ლამდება. გზაში გვხვდებიან სამუშაოდან დაბრუნებული მუშები. [illegible] ხალხით დატვირთული ავტომობილი გაგვიქროლებს გვერდით; მუშები ხელსახოცებს აქნევენ, დირექტორს ესალმებიან, ვტოვებთ სხვადასხვა უბანს.

ბინებიდან კი ტკბილი სიმღერები ისმის...

რაიონებში

რთველი დაიწყო, პუნქტები მზად არ არიან

ბაღდათის რაიონში სახელმწიფოსთვის ღვინო-ყურძნის ჩასაბარებლად მზადება ივლისში დაიწყო და ვარციხის საბჭოთა მეურნეობას დაევალა: 15 სექტემბრამდე წესრიგში მოეყვანა ყველაფერი, რაც ამ საქმეს სჭირდება.

ახლა ყურძენი უკვე შემოვიდა. **მიმღები პუნქტები კი მზად არ არიან.** ბაღდათში მარნის სახურავი შეაკეთეს, მაგრამ ისე ცუდად, რომ წყალს ვერ დაიჭერს. ჭაჭის შესანახი ჭურჭლები უპატრონოდაა მიგდებული, კასრებიც გარეთ ჰყრია..

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა **წითელი ხევის პუნქტშიაც.** საწყობის შეკეთების ხარისხი არავის შეუმოწმებია. გამტარი მილები დამტვრეულია და სამაგიეროს შეძენაზე არავინ ფიქრობს. პუნქტს არ გააჩნია თანხები ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ობჩის სასოფლო საბჭოშიც კასრების შეკეთება მხოლოდ ახლა, რთველის დროს დაიწყეს და 26 სექტემბრამდე ეს სამუშაო ნახევრადაც არ იყო შესრულებული.

ბაღდათის რაიონმა წელს სახელმწიფოს 29.200 ცენტნერი ღვინო-ყურძენი უნდა ჩააბაროს. გარდა ამისა, **ვარციხის მიმღებმა პუნქტმა** ვანის რაიონიდან უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 14.000 ცენტნერი ღვინო-ყურძენი. მიუხედავად ამისა, ფარდულები და პრესები არც აქ არის მზად. მუშახელზეც ნაკლებად ფიქრობენ.

რაიონში რთველი გაცხოველებით მიმდინარეობს. ვარციხის მეურნეობის ხელმძღვანელები (დირექტორი ა. შენგელია, პარტკომის მდივანი მეძმარიაშვილი) ვალდებული არიან ახლავე გარდაქმნან მუშაობა, რომ არ შეფერხდეს ღვინო-ყურძნის დამზადება.

ირ. გონგლაძე.

70 ნაცვლად 145,5 ცენტნერი

სოფ. ქინძათის კოლმეურნეობას (ზაშურის რაიონი) წელს შაქრის ჭარხალი 2 ჰექტარზე ეთესა. საკონტრაქტაციო ხელშეკრულების მიხედვით მათ ერთ ჰექტარიდან უნდა ჩაებარებინათ 70 ცენტნერი მოსავალი. (ურწყავი ადგილი იყო).

ჭარხლის ნათესის წესიერად დამუშავებისა და დანაკარგების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის შედეგად კოლმეურნეობამ ჰექტარიდან სახელმწიფოს ჩააბარა 145,5 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

გეგმაზე გადამეტებით ჩაბარებულ ჭარხალში კოლმეურნეობამ მიიღო 1359 მანეთი და 172 კილოგრამი შაქარი მტკიცე ფასებში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ქიტიაშვილი დაჯილდოვებულია 300 მანეთით, ხოლო ბრიგადირები — არშაკა და გრიგოლ ქიტიაშვილები — 400—400 მან..

თესვაში ჩამორჩენაა

[illegible] კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში საშემოდგომოდ 10.220 ჰექტარი უნდა მოიხნას და დაითესოს. 25 სექტემბრისათვის კი დავალება მხოლოდ 13,3 პროც.-ით იყო შესრულებული. განსაკუთრებით დიდია ჩამორჩენა ერთპიროვნულ მეურნეობებში — 6.000 ჰექტარის ნაცვლად დათესილია მხოლოდ 55.

ზოგიერთი მეურნეობა ჯერ კიდევ არ არის მზად თესვისათვის. **თოხლაურის** კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედს" არ მოუმზადებია თესლი და, ცხადია, არც შეუწამლია. ამავე სოფლის კოლმეურნეობას „სოფლის წყაროსაც" არ შეუწამლია სათესლე მასალა, არც სრულად შეუგროვებია ის ახალ წევრებში. კაკაბეთის სასოფლო საბჭოში ლაკობას სახელობის კოლმეურნეობას აკლია 2.659 კილოგრამი თესლი და რაც აქვს, არც ის არის შეწამლული.

საერთოდ კი, რაიონი ვერ აფასებს თესლის შეწამლვის მნიშვნელობას. შეწამლულია მხოლოდ 10 პროცენტი.

მცირე ყურადღება ექცევა მოხვნის ხარისხსაც, — მანავის სასოფლო საბჭოში მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ფართობი ხარვეზიანია. ამიტომ 3 ჰექტ. ხელმეორედ მოხნეს. ასეთივე მდგომარეობაა ბევრ სხვა კოლმეურნეობაშიც.

ბოძაშვილი.

ორი ფუთი სიმინდი შრომადღეზე

ფოთის რაიონში წელს ციტრუსების ნარგავთა გადიდებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სიმინდის მოსავლის აწევას. ამის შედეგად სიმინდის მოსავალი შარშანდელზე გაცილებით მეტია. სოფ. ქალადიდის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან შრომადღეზე ერგოთ 24 კილოგრამი სიმინდი, წელს კი როგორც წინასწარი გამოანგარიშებიდან ჩანს, შრომადღეებზე განაწილდება არანაკლებ 32 კილოგრამისა. რაიონში სიმინდის მოსავლის აღება იწყება. წინასწარი მუშაობა სანიმუშოდ არის ჩატარებული.

ეგ. გვასალია.

2.500 ახალი წევრი

თელავის რაიონში ამ უკანასკნელ თვენახევრის მანძილზე ახალი კოლმეურნეობები შემდეგ სოფლებში ჩამოყალიბდა: ბირკიანში, ხალანანში, დუისში, კონახკებში, ზემოალვანში, ხევჭალაში და სხვ. არსებულ კოლმეურნეობებს შეემატა 2.500-ზე მეტი ახალი წევრი. ახალ კოლმეურნეობებში დაიწყო სამუშაო გეგმების შედგენა და მიწის მოწყობა. სათესლე მასალა შეგროვილია. ხნა-თესვა გაჩაღდა.

არ. კოკილაშვილი.

□ □ □

კორესპონდენტებს სდევნის, ვაჭრებს მფარველობს!

მიმდინარე წლის 4 სექტემბერს „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი სათაურით: **„ვინ განაგებს კოლმეურნეობას"**. წერილის ავტორები (ხელს აწერდა კოლმეურნეობის 8 წევრი) კოლმეურნეობის ქონების გაფლანგვაში და ვაჭრების ხელისშეწყობაში ბრალს სდებდნენ სოფ. ყელქცეულის (გორის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **ვ. საძაგლიშვილს.**

ვ. საძაგლიშვილმა გაზეთში მოთავსებული წერილი რომ წაიკითხა, გადასწყვიტა, რათაც არ უნდა დასჯდომოდა, წერილის ავტორებისათვის სამაგიერო გადაეხადა. ბევრი იფიქრა ვასომ და მივიდა დასკვნამდე: „წერილის ავტორები ბევრნი არიან, ყველას ერთად ვერ გადავუხდი სამაგიეროს, მთავარ დამნაშავეს მოვძებნიო", და ასეთ დასკვნამდე მივიდა: **გ. გამგებელი** სარევიზიო კომისიის ყოფილი თავმჯდომარეა, იგი ბევრჯერ ჩმახავდა ხოლმე რაღაცეებს და მან ყველაზე კარგად იცის ჩემი ანგარიშიანობის ავან-ჩავანი. ამ საქმეში მეთაური უთუოდ ის უნდა იყოსო. ამის შემდეგ გ. გამგებელს ემუქრებოდა: „გაზეთში გაწერით ვერაფერს დამაკლებ, მე კი ისეთ დღეს დაგაყენებ, რომ თავბედი იწყევლოო", და მუქარის შესასრულებლად დროს არჩევდა.

გადიოდა დღეები, ვ. საძაგლიშვილს გული არ უცხრებოდა. იმ ხანებში გაზეთში მოთავსებული წერილის სინამდვილე შეამოწმეს და გადასწყვიტეს ვ. საძაგლიშვილის სხვა კოლმეურნეობაში გადაყვანა. ამან უფრო გაახელა საძაგლიშვილი, რადგან მუქარა სისრულეში ვერ მოჰყავდა.

ვ. საძაგლიშვილმა გამართა გამოსათხოვარი საღამო სხვებთან ერთად. გ. გამგებელიც დაპატიჟა. ორ-ორი ჭიქა ღვინო დალიეს და სადღეგრძელოს რიგი საძაგლიშვილზე მიდგა. ადღეგრძელა ყველამ და გამგებელმაც უსურვა „კარგად ყოფნა და გამარჯვება". ვასომ ახლა უპოვნა დრო და დაუწყო ყვირილი: „შენი სადღეგრძელო ჩემთვის საჭირო არ არის, ვიცი რა კაცუნაც ხარ და მე და შენ უნდა გავსწორდეთ, ცხრა მთას იქითაც რომ გადამიყვანონ". ამ სიტყვებით ვასომ გამგებელს სახეში ლაწანი გაადინა და ზედაც „თაური" მიაყოლა. რომ არ დაეშოშმინებინათ გაგულისებული საძაგლიშვილი, ვინ იცის, საქმე რით გათავდებოდა.

. ამ ფაქტის სისწორე ჩვენ ადგილობრივ შევამოწმეთ და გადაჭარბებული აქ არაფერი აღმოჩნდა. დამატებით გამოირკვა მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი, რომელთა შესახებ არაფერი იყო ნათქვამი ჩვენი გაზეთის 4 სექტემბრის ნომერში მოთავსებულ წერილში.

უძრომო კოლმეურნეობის დასახმარებლად მიღებული 300 მანეთი ვ. საძაგლიშვილმა სხვა დანიშნულებას მოახმარა და მხოლოდ გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ იკადრა მისი დანიშნულებისამებრ განაწილება. მან კოლმეურნეობის 20 ხარ-ურემი და 25 კოლმეურნე თავის სახლის მშენებლობაზე ამუშავა. ზოგ მათგანს შრომადღეებს უწერდა, ზოგს კი უსასყიდლოდ ამუშავებდა.

ვ. საძაგლიშვილს კოლმეურნეობის საწყობიდან გასულ წელს 15 ფუთი პური წაუღია და დღესაც მასზე ირიცხება. მასზევე ირიცხებოდა კოლმეურნეობის 1000 მან. და ინდივიდუალური მეურნეობის 600 მან. (გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ დაფარა ამ თანხის ნაწილი). საძაგლიშვილმა ცნობილ წვრილ ვაჭარს ზებო ახალკაციშვილს მოწმობა მისცა, თითქოს უკანასკნელი კოლმეურნეობის წევრი იყო და ბაზარზე კოლმეურნეობის საქონელი მოჰქონდა გასაყიდად. სინამდვილეში ვაჭარს თავისი საქონელი მიჰქონდა ბაზარზე სასპეკულაციოდ.

ერთხელ კოლმეურნეობის გამგეობამ ასეთი დადგენილება გამოიტანა: „გამოყოფილ იქნეს გამგეობის ერთერთი წევრი, რომელიც გაიგზავნოს ჩვენი კოლმეურნეობისათვის ცხენის შესაძენად". მაგრამ საძაგლიშვილმა გამგეობის ეს დადგენილება არაფრად ჩააგდო და კოლმეურნეობისათვის ცხენის შეძენა თავის ქვისლს, ცნობილ ვაჭარს **დ. მეტრეველს** დაავალა, რომელსაც 2000 მ. გაატანა. მეტრეველმა ცხენის ნაცვლად 4 ხარი ჩამოიყვანა გასასყიდად. კოლმეურნეობის გამგეობას კი ასე მოახსენა, „თქვენი ფული ცხენის საყიდლად არ მეყო და ხარები ჩამოვიყვანე ჩემთვისო.

უნდა აღინიშნოს, რომ დ. მეტრეველს ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისში დაუმტკიცდა მსხვილფეხა საქონლით სპეკულიაცია, რის გამოც იგი პასუხისგებაში იყო მიცემული. გორის რაიპროკურორმა გასცა განკარგულება მისი დაპატიმრების შესახებ, მაგრამ გორის რაიმილიციის ზოგიერთი თანამშრომელი სწყალობს მეტრეველს და იგი დღემდის თავისუფლად თარეშობს. მიუხედავად იმისა, რომ საძაგლიშვილმა ეს ამბავი იცოდა, მეტრეველი კოლმეურნეობაში მიიღო.

გასულ წლის კოლმეურნეობის გამგეობამ ორი კაცი გამოჰყო სკოლისათვის შეშის შესაძენად. მათ მოსახლეობაში შეაგროვეს 500 მან. მაგრამ საძაგლიშვილის განკარგულებით ეს თანხა სხვადასხვა პირებს მიეცათ 140 მანეთი ხელწერილით თითონაც კი გაიტანა.

ვ. საძაგლიშვილის „მოღვაწეობაზე" კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ დანარჩენს სათანადო ორგანოები იტყვიან.

მ. საქარული.

რედაქციისაგან: წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებულია და დადასტურებულია ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის მიერ. „კომუნისტი" მოელის ამ საქმეში საქ. კ.პ. (ბ) გორის რაიკომისა და რაიპროკურორის ჩარევას და ცნობას საძაგლიშვილის მიმართ მიღებული ზომების შესახებ.

ამიერ-კავკასიის მძლეოსანთა შეჯიბრება

ა.-კ. მძლეოსანთა შეჯიბრებაზე. სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: 1. მთავრობის ლოჟაში ზის ამხ. იარცევი, კუდრიავცევი, სტეპანოვი და წერეთელი, 2. საბჭოთა კავშირის ოსტატები: ლიახოვი, ხუდიაკოვი, მიტროპოლსკი, ლიულკო, სერგეევი და ოზოლინი. 3. ზევით ამხ. ბერელაშვილი, რომელმაც მშვენიერ შედეგს მიაღწია ბავშვთა შორის ბირთვის კვრაში. 4. საქართველოს ქალთა გუნდი, რომელმაც ამანათრბენაში დაამყარეს ა.-კ. ახალი რეკორდი: ამხ. ზალდასტანიშვილი, ტიმოფეევა, ტრეგუბოვა და გოკიელი

„დინამო"-ს სტადიონზე

12 ოქტომბერს „დინამოს" ახალ სტადიონზე გაიხსნა ამიერ-კავკასიის მძლეოსანთა მე-5 შეჯიბრება. დაესწრო დიდძალი ხალხი. შეჯიბრებას ესწრება: საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ს. კუდრიავცევი, ა.-კ. სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. იარცევი, ა.-კ. შინსახკომის მოადგილე ამხ. სტეპანოვი ტფილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნიორაძე, ამხ. მ. ტოროშელიძე და სხვები.

შეჯიბრების დაწყების წინ ჩატარდა შეჯიბრების მონაწილეთა აღლუმი. კოლონების წინ გაიარეს საბჭოთა კავშირის ყველაზე ძლიერმა ოსტატებმა მოსკოველმა რობერტ ლიულკომ, ლაიხოვმა, ოზოლინმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მალიაევმა, მიტროპოლსკიმ, სერგეევმა და ხუდიაკოვმა. მათ მიჰყვებოდნენ აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ყველაზე ძლიერ მძლეოსანთა ნაკრები კოლექტივები.

პატაკი მიიღო საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მილშტეინმა, რომელმაც მისალმებით მიმართა მონაწილეთ.

ამხ. მილშტეინის სიტყვა

ამხანაგო ფიზკულტურელნო! დღეს ამიერ-კავკასიის ფიზკულტურული ორგანიზაციათა ცხოვრებაში დიდი ამბავია.

ამიერ-კავკასიაში მძლეოსანთა შეჯიბრება ასეთი მასშტაბითა და ასეთი შემადგენლობით პირველად ხდება.

ამიერ-კავკასიის ყველა კუთხიდან აქ შეიკრიბნენ საუკეთესო მორბენალნი, მხტუნავნი, მტყორცნელნი, რათა გვიჩვენონ თავისი მიღწევები — სასპორტო ოსტატობის მწვერვალების დაუფლებისათვის შეუპოვარი ბრძოლის შედეგები.

თქვენთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ და თავის მაღალ ტექნიკას გვიჩვენებენ საბჭოთა კავშირის საუკეთესო ოსტატები.

ამხ. მილშტეინი

ნება მომეცით ამიერ-კავკასიის ფიზკულტურული ორგანიზაციის სახელით მივესალმო მსოფლიო რეკორდსმენებს ამხ. ს. ამბარცუმიანს და ლიახოვს, საკავშირო ოსტატებს. ძმებს ზნამენსკებს, ლიულკოს, ოზოლინს, მალიაევს, ხუდიაკოვს, რომელთა სახელებიც აღბეჭდილია მსოფლიოს საუკეთესო მიღწევათა წიგნში.

ნება მომეცით რწმენა გამოვთქვა, რომ მათი ჩამოსვლა აღინიშნება ახალი, უფრო დიდი მიღწევებით მძლეოსნობაში.

ამხანაგებო, ჩვენ უშუალოდ ვუახლოვდებით მსოფლიო რეკორდებს. ლოზუნგი — „მოვიპოვოთ ყველა მსოფლიო რეკორდი". ეს სადღეისო ლოზუნგია. საბჭოთა სპორტსმენების მგზავრობა საზღვარგარეთ სატრიუმფო მსვლელობად გადაიქცა. მომავალი ჩვენ გვეკუთვნის, ვინაიდან, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში ფიზკულტურა და მისი მიღწევები მილიონებისათვის ხელმისაწვდომი გახდა, კაპიტალისტურ ქვეყნებში იგი იქცევა ცალკეული ჩემპიონებისა და მათ ზურგს უკან მდგომ მეწარმეთა მონოპოლიად. ჩემპიონების ყიდვა-გაყიდვა ბურჟუაზიულ სპორტში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სპორტი გახდა გართობის საშუალებად ერთი მუჭა განებივრებულ ბურჟუაზიული ახალგაზრდობისათვის, რომელიც კუნთებს იმაგრებს, რათა პროლეტარიატს უკეთ გაუმკლავდეს. სპორტი საზღვარგარეთ გადაიქცა რევოლუციური იდეებისაგან მუშების ჩამოშორების, ფაშისტურ ორგანიზაციებში მათი ჩაბმის საშუალებად. ასეთია სპორტის მდგომარეობა საზღვარგარეთ.

ამხანაგებო, ჩვენში, საბჭოთა კავშირში, მძლეოსნობა სპორტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეს წარმოადგენს. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის მომზადების საქმეში. მას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა მსოფლიოს ერთ ნაწილში უკვე ჰქუხს ზარბაზნები, უკვე ანთია ომის ხანძარი და როცა ეს ხანძარი შეიძლება მთელს დედამიწას მოედოს. ომის სულისჩამდგმელნი და გამჩაღებელნი ხარბი თვალით შესცქერიან საბჭოების ქვეყანას. მათ გულში სდუღს ბოროტი სიძულვილი ყველა მშრომელის სამშობლოსადმი. მაგრამ დაე მათ ახსოვდეთ ბელადის სიტყვები, რომ ჩვენ მზად ვართ გამანადგურებელი დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმაზე.

ამხანაგებო, ჩვენ შეჯიბრებას ვხსნით „დინამოს" ახალ საუცხოო სტადიონზე, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონია საბჭოთა კავშირში. ეს გრანდიოზული სასპორტო ნაგებობა აშენებულია ამიერ-კავკასიის საყვარელი ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას ინიციატივითა და ზრუნვით. მისი ყურადღება, მისი დახმარება ყოველდღე გვაფრთოვანებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

პირველხარისხოვანი ტექნიკური ბაზის აგება გვავალებს უფრო შეუპოვრად ვისწავლოთ სასპორტო ტექნიკის მაღლობების დაუფლება.

ჩვენ ბედნიერი ადამიანები ვართ ვინაიდან სოციალიზმის მშენებელ ერთადერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ვინაიდან ჩვენ გვხელმძღვანელობს ბრძენი დიდი ბელადი ამხ. სტალინი. ჩვენს მიღწევებს, მის ზრუნვას, მის დახმარებას უნდა ვუმადლოდეთ.

უსაზღვროა ფიზკულტურელთა არმიის სიყვარული, უსაზღვროა მათი ერთგულება ჩვენი მშობლიური ქვეყნისადმი, ყველა მშრომელის ბელადისა და მასწავლებლის — ამხ. სტალინისადმი, რომლის მოწოდებით ფიზკულტურელთა მილიონები, თავის სამშობლოს დასაცავად ფეხზე დადგებიან.

გაუმარჯოს საბჭოთა ფიზკულტურას, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მძლავრ რეზერვს!

გაუმარჯოს ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს დიდ სტალინს!

□ □ □

ჯილდო კარგად მომზადებისათვის

მიმდინარე სასწავლო წლისათვის უკეთ მომზადებისათვის ტფილისის რაიონულ განათლების განყოფილებებს შორის გამოცხადებული იყო სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების პირობებად დასახული იყო: სასკოლო შენობების რემონტის დროულად დამთავრება, რემონტის მაღალი ხარისხი, ინვენტარის შეკეთება, სასკოლო ეზოებსა და შენობებში სანიტარული პირობების სანიმუშოდ დაცვა და სხვ.

ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილებამ შეაჯამა შეჯიბრების შედეგები და პირველობა 26 კომუნარის რაიონის განათლების განყოფილებას მიაკუთვნა. შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მას ჯილდოდ გარდამავალი დროშა გადასცეს.

რაიონის სკოლებს შორის მიმდინარე სასწავლო წლისათვის ყველაზე უკეთ მომზადებული მე-15 საშუალო სკოლა აღმოჩნდა.

შეჯიბრების პირველი დღე

12 ოქტომბერს, დინამოს ახლად აგებულმა გიგანტ - სტადიონმა აურებელი ხალხი მოიზიდა. ამ დღეს ა.-კ. მძლეოსანთა შეჯიბრება იმართება. დილის სრულ თერთმეტ საათზე გაისმა მუსიკის ხმა. სტადიონზე გამოვიდა ამიერ-კავკასიის 150 საუკეთესო მძლეოსანი. დროშით ხელში წინ მოუძღვიან საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატები: საკავშირო ფალავანი ბირთვისა და ბადროს ტყორცნაში—**ლიახოვი, ხუდიაკოვი, მიტროპოლსკი, ფედოსეევი, მალიაევი**; საბჭოთა კავშირის ფალავანი მოკლე დისტანციებზე რბენაში — **ლიულკო**. ჭოკით ხტომის საკავშირო ფალავანი—**ოზოლინი, სერგეევი** და სხვანი.

ყოველი მათგანი ავსავსეა ენერგიით. ფოლადისებური კუნთები ამჟღავნებს მათ მზადყოფნას შრომისა და თავდაცვისათვის.

ფიზკულტურელებს მიესალმა საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **მილშტეინი**, რომელსაც ერთსულოვანი „ვაშათი" უპასუხეს.

შეჯიბრება იწყება ქალთა სირბილით 60 მეტრზე. სტარტზე დგებიან ქალები. რამდენიმე გადარბენა და გამარჯვებული გამოდიან აზერბეიჯანის გუნდის წარმომადგენლები: **ავდეევა** (8,4 წამი) და **ტუშინა** (8,7 წამი).

100 მეტრზე სირბილში საუკეთესო შედეგს მიაღწია **რუსანოვამ** (აზ.)—13,9 წამი. საინტერესო იყო ვაჟთა შეჯიბრება, რომელშიც წამის ყოველი მეათედის გულისათვის დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა. **გეგელემ** (საქ.) მანძილი დაჰფარა 12,1 წამში და ამით ა.-კ. ახალი რეკორდი დაამყარა. მოზრდილებს შორის მშვენიერ შედეგს მიაღწია, **ამირან ქარცივაძემ**, რომელმაც მიუხედავად სტარტზე პატარა შეყოვნებისა, ადვილად გადაუსწრო მოწინაამდეგებს და შესძლო ა.-კ. ახალ რეკორდის დამყარება.

იწყება პირველი გუნდების შეჯიბრება. ქალთა შორის საუკეთესო შედეგს მიაღწიეს **გოკიელმა და დემიდოვამ**. (აზ.) სტარტზე გამოჩნდა მაღალი, ენერგიით სავსე ფიგურა, გამოცდილმა მაყურებელმა მასში იცნო საკავშირო ფალავანი—**რობერტ ლიულკო**. სტადიონზე სიჩუმე ჩამოვარდა. სტარტიორის მიერ მიცემულ სიგნალის შემდეგ ყველა მორბენალმა საფინიშო ხაზს მიაშურა, მაგრამ გამოცდილმა ლიულკომ ლიდერობა არავის დაუთმო და პირველმა გასწყვიტა საფინიშო ლენტი. წამის მრიცხველმა 10,7 წამი უჩვენა. **ლიულკომ** გაიმეორა საკავშირო რეკორდი. მის შემდეგ საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს აზერბეიჯანის მორბენლებმა — **კრილოვმა** (11,3 წამი) და **სიმაკოვმა** (11,4 წ.).

ქალთა შორის სიმაღლეზე გამორბენით ხტომაში, 140 სანტიმეტრის დაძლევა შესძლო **განიკერმა** (აზ.).

დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა შეჯიბრებამ. გადასახტომი თამასა 175 სანტიმეტრის სიმაღლეზეა. მწყობრიდან გამოდიან **შ. კილაძე, ო. რუსანოვი და სიმაკოვი**. თამასა 180 სანტ.-ზე ასწიეს. ეს სამი სანტიმეტრით აღემატება სიმაღლეზე ხტომის ა.-კ. რეკორდს. მეორე ცდაზე ი. რუსანოვმა შესძლო სიმაღლის დაძლევა. მას არ ჩამორჩა საკავშირო ოსტატი ხუდიაკოვიც.

ბავშვთა შორის **თენგიზ ბაქრაძემ** ყუმბარა გადაისროლა 51 მეტრსა და 46 სანტ., რითაც დაამყარა ა.-კ. ახალი რეკორდი.

კარგ შედეგს მიაღწია ბირთვის კვრაში **ბერელაშვილმა**, რომელმაც 12 მეტრზე და 66 ნახ. სანტ. ბირთვის გადაგდებით ა.-კ. ახალი რეკორდი დაამყარა. მეორე ადგილი **ამირან ქარცივაძემ** დაიჭირა. (12,59 ნახ.)

საკავშირო რეკორდსმენი **რობერტ ლიულკო**, რომელმაც გაიმეორა საკავშირო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია ამანათრბენაში ვაჟთა (4×100) შეჯიბრებამ. გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა, რომელშიც შედიან: ბოგროვი, ბარანოვი, დიჩკოვი და შტიმელი. ამ გუნდმა მანძილი 45,1 წამში დაჰფარა და ა.-კ. ახალი რეკორდი დაამყარა. მათ არ ჩამორჩა საქართველოს ქალთა გუნდიც (ზალდასტანიშვილი, ტიმოფეევა, ტრიგუბოვა და გოკიელი). მათ მიერ ნაჩვენები დრო (53,2 წამი) ა.-კ. რეკორდს აღემატება.

ბავშვთა შორის სიმაღლეზე გამორბენით ხტომაში გამარჯვებული გამოვიდა **ლიუსია ბერძენიშვილი** (135 სანტ.). უმცროსი ჰასაკის ვაჟთა შორის გამარჯვება ჰხვდა **ჯანგაროვს** (საქ.), რომელიც გადახტა 153 სანტ. და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი.

ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში გამარჯვა **სულიევმა**. სტადიონზე გამოვიდნენ კავშირის საუკეთესო მორბენლები—ორი ძმა **ზნამენსკი** და **ფედოსეევი**; მათ შორის 1000 მეტრზე შეჯიბრებაში პირველად დაწინაურდა ფედოსეევი, რომელმაც სირბილი ძალზე სწრაფი ტემპით დაიწყო, მაგრამ მალე იმდენად დაიღალა, რომ იძულებული გახდა შეჯიბრებისათვის თავი დაენებებინა. ლიდერობა **სერაფიმ ზნამენსკიმ** ითავა და გამარჯვებაც მას დარჩა—3:33,1.

1500 მეტრზე სირბილში გამარჯვებული გამოვიდა **კრაინიუკოვი** (აზ.), რომელმაც გადალახა თავისივე ა.-კ. რეკორდი. მისი დრო 4:21. მეორე მოვიდა იაფაროვი (საქ.)—4:24.

ქალთა შორის ბადროს ტყორცნა მაიერის გამარჯვებით დასრულდა. უკანასკნელმა დაამყარა ა.-კ. ახალი რეკორდი (35, 46 სანტ.). მეორე ადგილზე გამოვიდა **გველესიანი** (31,18)

საკავშირო ფალავანი **ლიახოვი** ადვილად სტყორცნის ბადროს 46 მეტრზე და 20 სანტ. მის შემდეგ საუკეთესოა ჩირკოვის შედეგი (37,20).

ფურცელაძე.

შეჯიბრების მეორე დღე

13 ოქტომბერს, დილის სრულ 10 ს., დაიწყო შეჯიბრების გაგრძელება.

ბავშვთა შორის სიგრძეზე გამორბენით ხტომაში მშვენიერ შედეგს მიაღწია **ქარცივაძემ**, რომელიც გადახტა 5 მეტრზე და 75 სანტ., რაც ა.-კ. რეკორდს მხოლოდ ერთი სანტიმეტრით ჩამორჩება. მასვე დარჩა პირველობა ყუმბარის ტყორცნაში.

100 მეტრზე სირბილში ვაჟთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა **ობრაზცოვი** (12,1 წამი), მეორე ადგილი დაიკავა ქარცივაძემ (12,2 წამი), საინტერესო იყო შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში. გამარჯვებული გამოვიდა პეიშვილი (24 მეტრი, 97 სანტ.).

ახალგაზრდა მძლეოსანი ამირან ქარცივაძე, რომელმაც ა.-კ. რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე რბენაში.

□

დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა პირველ კოლექტივებს შორის შეჯიბრებაში.

სიგრძეზე გამორბენით ხტომამ გამარჯვება მოუტანა **ანტონოვს** (აზ.), რომელიც გადახტა 6 მეტრზე და 85 სანტ., რითაც დაამყარა ა.-კ. ახალი რეკორდი. ძველი რეკორდი დამყარებული იყო შტიმელის მიერ, 6 მეტრსა და 78 სანტ. უდრიდა.

სტადიონზე გამოდის საბჭოთა კავშირის ფალავანი — ლიახოვი. უკანასკნელი დგება ბირთვის გადასაგდებად მოხაზულ რგოლში. ყოველივე მისი მოძრაობა სწრაფია და ელასტიური, კარგად დამუშავებული ტექნიკა მის შედეგებს ყოველივე კონკურენციის გარეშე აყენებს. ლიახოვის შემდეგ საუკეთესო შედეგს მიაღწია ჩირკოვმა, რომელმაც ბირთვის 13 მეტრზე და 81 სანტ. გადაგდებით გადააჭარბა სერგო ამბარცუმიანის ა.-კ. რეკორდს.

შუბის გადატყორცნაში ა.-კ. რეკორდი დაამყარა გ. მაიერმა, რომელმაც გადაისროლა 31 მეტრზე და 2 სანტ.

დიდი ინტერესი გამოიწვია ქალთა შორის ჩატარებულმა დიდმა შვედურმა ამანათრბენამ 100×200×300×400 მეტრზე. გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს გუნდი—გოკიელის, ტიმოფეევას, ტრეგუბოვას და ქმჩინსკაიას შემადგენლობით, რომლებმაც დაამყარეს ა.-კ. ახალი რეკორდები (2:33,5).

ხელოვნება

სახ. ოპერის თეატრში

დღეს [illegible] დადგმება „რიგოლეტო". მონაწილეობს უკრაინის ოპერის პრემიერი ბარიტონი გრიშკო. ჰერცოგის პარტიაში გამოვა ტენორი ნოვოჟენინი (მოსკოვის დიდი თეატრი). ჯილდას პარტიას პირველად მღერის მოსკოვიდან ახლად მოწვეული ისკიდაროვა. ოპერას დირიჟორობს რეინარტ-შავეიჩი.

16 ოქტომბერს პრემიერა — **გუნოს** ოპერა „ფაუსტი". მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობი ქალის ბეატრიჩე ვილაცის (მარგარიტა) პირველი გამოსვლა. დამსახურებული მსახიობის ისეცკის და ნოვოჟენინის მონაწილეობით. ოპერას დირიჟორობს ახლად მოწვეული დირიჟორი პაულ პელა (ამსტერდამი).

უახლოეს დღეებში ელიზა მოსულის პირველი გამოსვლა ბატერფლეის პარტიაში, დირიჟორ პაულ პელას მუსიკალური დადგმა.

□

ამხ. ფ. მახარაძის დაბრუნება

ა.-კ. ცაკისა და საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფილიპე მახარაძე** დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

□

საბავშვო რკინიგზის მშენებლები დაბრუნდნენ ტფილისში

ტფილისის სადგურის ბაქანი პიონერებით და მოსწავლე ახალგაზრდობით არის გაჭედილი. ელიან ტფილისის პირველი საბავშვო რკინიგზის მშენებელთა დელეგაციას, რომელიც მოსკოვში იყო წასული, პატაკის წარსადგენად გზათა სახალხო კომისარი **ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩისათვის** და საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **კოსარევისათვის**. დელეგაციას უნდა გაეცნო აგრეთვე მოსკოვის პიონერებისთვის თუ როგორ აშენებდნენ ტფილისის პიონერები საბავშვო რკინიგზას, რომელიც მთელ მსოფლიოში პირველია.

სასულე ორკესტრის გრიალში, პიონერთა დოლისა და საყვირების ხმაურში ჩამოდგა ბაქანზე მატარებელი.

სადგურის მოედანზე გაიმართა სახელდახელო მიტინგი. ტფილისის ა. ლ. კ. კ. კომიტეტის სახელით დელეგაციას მიესალმა ამხ. კაჟახიძე.

ტფილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს და თაიგულს უძღვნის დელეგაციას პიონერი მირზახიანი.

ლაპარაკობენ დელეგაციის წევრები: ამხ. რუსლანოვმა დამსწრეთ უამბო თუ როგორ შეასრულა დელეგაციამ დაკისრებული მოვალეობა.

ლაპარაკობს დელეგაციის წევრი პიონერი **ჟენია მოსიენკო**: „ჩვენ ვიყავით რკინის სახალხო კომისართან ამხ. **ლაზარ მოსეს ძე კაგანოვიჩთან**, გავაცანით მას, თუ როგორ ვმუშაობდით რკინიგზაზე, რა გვაკლია და ვთხოვეთ დახმარება, რათა საბავშვო რკინიგზის დღევანდელი არსებული ხაზი რამდენიმე კილომეტრით გადიდდეს. ლაზარ მოსეს ძე დაგვპირდა თხოვნის ასრულებას, და თქვენ — ტფილისის პიონერებს, პირველი საბავშვო რკინიგზის მშენებლებს მხურვალე სალამი შემოგითვალათ".

მიტინგზე უკანასკნელად გამოვიდა პიონერი **ვერა დებიუკი**. ის ლაპარაკობდა, თუ როგორ მიიღეს დელეგაცია მოსკოვის პიონერებმა. დებიუკმა ტფილისის პიონერებს გადასცა მოსკოვის პიონერ-ების მხურვალე პიონერული სალამი.

□

შემთხვევანი

# **შოფერის გაუფრთხილებლობით.** № 20—10, მსუბუქი ავტომანქანის შოფერი ა. ი. ფარემუზოვი შევიდა თავის ძმასთან და უყურადღებოდ დასტოვა მანქანა. შოფერის ნათესავმა ი. კ. ფარემუზოვმა წაიყვანა თავისთან 9 წლის ბავშვი მანუჩაროვი და ჩაჯდა მანქანაში. ფარემუზოვმა არ იცოდა მანქანის მართვა, წაიყვანა დიდი სისწრაფით და დაეჯახა ბოძს. მანქანა ძლიერ დაზიანდა, ბავშვი მძიმედ დაშავდა. ორივე დამნაშავე დაპატიმრებულია.

# **ავარია.** ელბაქიძის ხიდზე № 10—74 ავტობუსმა (შოფერი ს. გ. ცატუროვი), მარცხენა მხრივ გაუსწრო წინ ტრამვაის ვაგონს და დაეჯახა მე-18 მარშრუტის ტრამვაის შემხვედრ ვაგონს (ვატმანი ლ. ბ. ქობონელიძე). ავტობუსი დაზიანდა. არავინ დაშავებულა. დამნაშავეებს პასუხისგებაში ძლევენ.

# **გაუფრთხილებელი სვლის მსხვერპლი.** საბჭოს ქუჩაზე საბარგო ავტომანქანა № 24—27 (შოფერი გ. ე. ხომასურიძე), დაეჯახა მცირეწლოვან ი. შ. ტერ-ავეტამოვს (ლისინოვის ქ. 3), და სასიკვდილოდ დააშავა. შოფერი შეიპყრეს.

# **ქურდების შეპყრობა.** ცენტრალურ ბაზარში ჯიბგირობისათვის შეიპყრეს დ. ს. აველისიანი და ს. ა. ამირალოვი.

□

რადიო გადაცემა

14 ოქტომბრისათვის

11—30 გადაცემა სკოლამდელთათვის ქართულ ენაზე.

11—45. დღის კონცერტი შესვენების დროს.

16—40. კონცერტი. ახალგ. კომპოზიტორის სლონოვის შემოქმედება.

18—45 მუსიკალური ანტრაქტი.

19—20. კონცერტი. პროგრამაში: კომპოზიტორების ბახის, მოცარტის და ბეთჰოვენის ნაწარმოებნი.

19—50. უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება კოლმეურნეთათვის ქართულ ენაზე.

20—00 ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე — ოვანეს თუმანიანის „ანუში" ლიტერატურული მონტაჟი.

20—40 კამერული კონცერტი კომპოზიტორებისა: თაქთაქიშვილის, აზმაიფარაშვილის და ცხველიძის ნაწარმოებთაგან.

21—40. კამერული კონცერტი კომპოზიტორების დებიუსის და რაველის ნაწარმოებთაგან.

□

პარტკოლეგიაში

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს შალვა მიხეილის-ძე როგავას სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში; ც. კ-ტის შენობა. მეორე სართული.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

დღეს 5 აბონ. 1 წარმ.	15 ოქტომბ. 6 აბონ. 1 წარ.	16 ოქტომბ. 7 აბონ. 1 წარ.
რიგოლეტო ჯილდა—ე. იხკიდაროვა. ჰერცოგი—მ. ნოვოჟენინი. რიგოლეტო—მ. გრიშკო. სპერაფუჩი—ვ. შარაშიძე. დირიჟორი—ა. კანცევსკი	**დაისი** მარო—ე. სოხაძე. კიაზო—ა. ამირანაშვილი. მალხაზი მ. ყვარელაშვილი. დადგმა სახ. არტისტ წუწუნავასი. დირიჟორი—ევგ მიქელაძე.	**ფაუსტი და ვალპ. ღამე** მარგარიტა—ბეატრიჩე ვილაცა. ფაუსტი—მ. ნოვოჟენინ. მეფისტოფელი—დამსახურ. არტისტი ლ. ისეცკი ვალენტინ—მ. ბუთხუზი. დირიჟორი—პაულ პელა. ბალეტმ.—ვ. ლიტვინენკო.

წარმოდგენის დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება. ყველა გამოცხადებული წარმოდგენის ბილეთები იყიდება. აბონენტებს, რომელთაც მეორე გადასახდელი არ შეუტანიათ, წარმოდგენაზე არ შეუშვებენ. ყველა სერიის აბონემენტია ინდივიდუალური გაყიდვა ყოველდღე, დღისით 11-დან 2 საათამდე საღამოს 6-დან 9 საათამდე.

რუსთაველის თეატრი

1935—36 წლ. სეზონი,

წარმოება-დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით მუდმივი ადგილების გაცემა იწარმოებს 16—20 ოქტომბრამდე თეატრის ბუხჰალტერიაში საღამოობით 6—10 საათამდე.

ბილეთების მიღებისას საჭიროა წარმომადგენლებმა თან იქონიონ მინდობილობის ბარათი.

394 დირექცია.

ოქტომბერი 6-30. 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი ხაზღვარი
დამკვრელი სახ. საზაფხ. 6-30. 8. 9-30. 11	საზამთ.—ხმოვ. ფილმი მწყემსი და მეფე საზაფხ.—მხატვრ. ფილმი ალიმი
ტემპი (საზამთ. [illegible] 8-30, 10-30	საზღვარგარეთული ხმოვანი ფილმი პეტრ პეტერი
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	უკანასკნელი დღეები ხმოვ. სურათი ჭექა ქუხილი. ოსტროვსკის მიხედვით.
ეთერი (საზამთ. 7-20. 9, 10-30	მხატვრ. სურათი დიკშიკრიკის ჩანთა
„26"-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10	საზაფხ. საზამთ. პეპო სომხური ვარიანტი
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-15, 10-15	ხმოვანი კომედია მხიარული ახალგაზრდობა

ა/წ. 10 ოქტომბრიდან ხდება წყალ-კანალ სამმართველოს

დ. მ. კ.-ის ლიკვიდაცია

ყოველგვარი პრეტენზიები მიიღება ა/წ. 25 ოქტომბრამდე. აღნიშნულ ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება.

მისამართი: გორესის ქ. № 53.

9848 ლიკვიდკომი.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ

დაიბეჭდა და გამოვიდა შემდეგი წიგნები:

სახელმძღვანელოები:

ეკონომიური მეცნიერებანი

1. ვაისბერგი—სსრკ ეკონომპოლიტიკის ეტაპები, II წიგნი.
2. პრეობრაჟენსკი—წინაკაპიტალისტურ ფორმაციათა ეკონომიკა
3. არტ. გოკიელი—ლენინი და სტალინი ფინანსების და კრედიტის შესახებ.
4. ზ. ჩაჩავა—საბჭოთა სტატისტიკის თეორიის ძირითადი პრობლემები (რუსულად).
5. პლეცკიჩი და შამაში—წინაკაპიტალისტურ ფორმაციათა ეკონომიკის მოკლე ნარკვევი.
6. კ. ორაგველიძე—აბსოლუტური რენტის თეორია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

1. კიოპენი—კლიმატოლოგიის საფუძვლები.
2. ნ. კეცხოველი—საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, მცენარეულობის რუკით.

პედაგოგიკა და ლიტერატურა

1. გ. წერეთელი—არაბული ენის სახელმძღვანელო. ქრესტომათია.
2. ავტორთა კოლექტივი პროფ. დ. უზნაძის რედაქციით—თანამედროვე მიმდინარეობანი დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიაში.

სამეცნიერო ლიტერატურა:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

1. ბიოლოგიის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერული შრომები.

ისტორიული მეცნიერებანი

1. ივ. ჯავახიშვილი—ძველი სომხური საისტორიო მწერლობა.
2. ა. ამირანაშვილი—არქეოლოგიური აღმოჩენა მდ. ენგურის შესართავთან (რუსულად).

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. ფელიქს დ'ერელი—ბაქტერიოფაგის ბუნება (რუსულად).
2. არნ. ჩიქობავა—ენათმეცნიერების შესავალი.
3. ს. დანელია—დემოკრიტეს ფილოსოფია (რუსულად).
4. კრივაშოვი—კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია.
5. ალ. ნამორაძე—ადმინისტრატიული მეურნეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში.
6. კ. კეკელიძე—ადრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურის ისტორია.
7. ს. ხუნდაძე—დიმიტრი ყიფიანი.
8. ს. ყაუხჩიშვილი—გეორგიკა, III წიგნი.

წიგნების შეძენა შეიძლება უნივერსიტეტის კიოსკში (უნივერსიტეტის მთავარი შენობა) და გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში (მელიქიშვილის ქ. № 22).

389 სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დაკარგულია ა/ქ. ინდუსტრიალური ტექნიკუმის დამთავრების დროებითი მოწმობა ბორის ივანეს ძე გეკენავას სახელზე № 9822.

ტექნიკუმისის წიგნაკი შალვა დემეროვის სახელზე. ჩ. გ. უფ.

ვამზადებთ მოწაფეებს:

1. სრული საშუალო სკოლის მოწმობაზე, 2 არასრული საშუალო სკოლის მოწმობაზე, 3. უმაღლესი სასწავლებლისათვის, 3. ვასწორებთ სუსტებს (მათემატიკა ფიზიკა ქიმია). პირობების გაგება 4—6 საათამდე. მილიციის ქ. № 14 (პუშკინის ბაღის პირდაპირ) მე-2 სართული, ბინა № 0 9827

ამხანაგები: ა. ფირცხალავა, ა. ნემსიწვერიძე, დ. კოპალიანი, ნ. კოპალიანი, ნ. საყვარელიძე, მ. კოპალიანი, ი. ცვარიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქ. ალკკ ცაგერის რაიკომის პოლიტსწავლების განყოფ. გამგის **ალექსანდრე სიმონის-ძე ცვარიანის** უდროოდ გარდაცვალებას. 9835

საქ. ა.ლ.კ.კ. ცაგერის რაიკომი ღრმა მწუხარებით იუწყება, რაიკომის პოლიტსწავლების განყოფილების გამგის **ალექსანდრე სიმონის-ძე ცვარიანის** უდროოდ გარდაცვალებას. 9836

კიროვის სახ. ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის სამკუთხედი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე ინსტიტუტის ლექტორის **გიორგი ვარლამის-ძე მახარაძის** უდროოდ გარდაცვალებას. 9832

გაუბედურებული მშობლები: ნესტორი, პელაგია; ძმა კოწია იუწყებიან ქუთაისის პედინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტის უსაყვარლესი **ვენერა ნესტ. ას. საყვარელიძის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, გამოსვენება ძერჟინსკის ქ. № 50 15 ოქტომბერს. 9831

ოლღა შვილებით მწუხარებით იუწყება, რომ საყვარელი ქმრისა და მეგობრის **კირილე გეგეჭკორის** ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი იქნება მარტვილში 20 ოქტომბერს, კვირას, ნაშუადღევის 4 საათზე. 9837

საქ. კ.პ. (ბ) ცაგერის რაიკომი ღრმა მწუხარებით იუწყება საქ. ალკკ ცაგერის რაიკომის პოლიტსწავლების განყოფილების გამგის **ალექსანდრე სიმონის-ძე ცვარიანის** უდროოდ გარდაცვალებას. 9833

თავზარდაცემული მშობლები: ალექსანდრე და ვისილა, ძმა ირაკლი იუწყებიან ნათესავ-ნაცნობებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პატარა **ნათელა კინწურაშვილი** სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 7 ს. ვოლოდარსკის ქ. № 5. 9841

სტეფანე, ელენე, სიდონიე, ალექსი მადლობას უცხადებენ ყველა იმ პირს და დაწესებულება-ორგანიზაციას, რომელთაც წერილობით თუ დასწრებით გაიზიარეს ჩვენი მწუხარება საყვარელი მამის **იაგორ კაზალიკაშვილის** გარდაცვალების გამო. 9840

ამხანაგები: ბ. გუგავა, ბ. ჩიქოვანი, ნ. გიორგობიანი, ბ. ხეცურიანი, გ. ყურაშვილი, მ. ჩაკვეტაძე, დ. ყურაშვილი, ბ. ასათიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან კ.პ. ცაგერის რაიკომის პოლიტსწავლების განყოფილების გამგის **ალექსანდრე სიმონის-ძე ცვარიანის** უდროოდ გარდაცვალებას. 9834

ტფილისის მთავარ ტელეგრაფის სამკუთხედი და მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ტელეგრაფის ელექტრო-მემანქანის ამხ. **სოლომონ ალექსანდრეს-ძე მარტიაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 ოქტომბერს, 4 ს. გამოსვენება გოცირიძის ქ. № 31. 9839

სტამბა „კომუნისტი" კომის ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული 8102